


ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# საქართველო



გ. მ. მ. მ.



მ ი ნ ა ა რ ს ი

ფურხალ „ჭეჭაღისა“


I	შეხე, შეხე ბუდეს! სურათი . . . . .	290
II	შოშია, ლექსი ნ. ზოპლეთელისა . . . . .	291
III	ამხანაგის ვატანა, თარგმანი ტასოსი . . . . .	292
IV	უგულო გოლიათი, ნორვეგიული ზღაპარი ასბერნ- სონისა, თარგმანი არამათისა . . . . .	294
V	მწყემსები, სოფლის ცხოვრებიდან, ად. შანბლისა . . . . .	305
VI	ჩემგულა, ამბავი ფრინველთა ცხოვრებიდან, თარ- გმანი ტასოსი . . . . .	315
VII	ახსნა . . . . .	324
—		
VIII	სურათი, ლექსი დ. თურდოსშირელისა . . . . .	325
IX	უკვდავება და სილამაზე, ცქვიტისა . . . . .	326
X	დედა-მიწა და კულიანი ვარსკვლავი (დასასრული) თარ- გმანი ივლიტა ხაკაშიძისა . . . . .	331
XI	შესანიშნავი ქვეყანა (მოგზაურობა ჩრდილოეთ ამე- რიკაში) . . . . .	338
XII	გმირი ყმაწვილები . . . . .	342
XIII	საქართველოს ისტორია, შედგენილი ს. გარგაძისა (ჩართულია საქართველოს რუკა.) . . . . .	33

მიიღება ხელის მოწერა

1910 წლის

ქ ე ქ ი ლ ზ ე

ქართული  
საბჭოთაო



# საქმიანი ნახატებიანი ქურონალი

იხარდე მწვანე გეგილო,  
დაპური, გახდი ყანაო!..  
ი. დ.

ივნისი, 1910

◀ წელიწადი მეოცდაერთე ▶

თ ბ ი ლ ი ს ი  
ელექტრომბეჭდავი აზ. „ზრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.  
1910



შჩუ, შეხე ბუღეს?

შოშია.



მათის დილა  
 ცა მოწმენდილა,  
 და დილის ნაძი მინდორზე ელავს,  
 და მოღაღანე  
 ჟეჯილი მწვანე,

რომ უქრის სიო, ბიბინებს, დელავს...

ჭკალობს შოშია.

საქმე რაშია?

თავის ნორჩ ბარტყებს მოსძახის ნანას!

შეჭხარის მზესა,

ველსა და ტყესა...

ცას მოკამკამეს... დარს ამისთანას!..

წავა საზრდოზე:

მოუტანს დროზე

თავის ჰაწიებს „ველის გასაღობობს“,

ისვენებს წამით

და სმით საამით

აქებს შემოქმედს, ბუნებას ამკობს...

ნ. ზომლეთელი



## ამხანაგის გატანა.



რომა ბუნებისმეტყველმა ზღვის  
 მერცხალს თოფი ესროლა. მერ-  
 ცხალს ფრთაში მოხვდა და ზღვა-  
 ში ჩაზარდა. სხვა მერცხლები შე-  
 წუხებულნი და დანადგლიანებულ-  
 ნი მოჭეუენ თავიანთ ამხანაგის  
 თავზე ტრიალს.

ქარმა დაკოდილი ფრინველი  
 ნაწირისაკენ გაიტაცა და ბუნე-  
 ბისმეტყველს იმედი მიეცა, რომ  
 ხელთ იგდებს. მაგრამ მან უცბათ  
 დაინახა, რომ ორი სორბა მერცხალი თავიანთ და-  
 კოდილ ამხანაგს ფრთებ ქვეშ შეუსხდენ, ძაღლა აი-  
 ტაცეს და შუა ზღვისკენ გასწიეს. მათ უკან აედევნა  
 ორი სხვა მერცხალი.

ბოლოს დაკოდილი ამხანაგი დიდი სიფრთხი-  
 ლით დაუშვეს წყალზე, მაშინ მეორე ორი მერცხალი  
 ფრთებ ქვეშ შეუდგა და საბრალი ახლა ამათ გაი-  
 ტაცეს.

ამ გვარათ, სან ერთი წუვილი მერცხალი და სან  
 მეორე წუვილი მერცხალი მიაქანებდა საბრალი და-



კოდილს, სანამ ერთ კარგა მოძორებულ კლდესთან არ მიიუვანეს და არ დაბინავენ.

ბუნებისმეტყველიც მივიდა კლდესთან იმ განზრახვით, რომ თავისი დაეჭვა, ასე უსამართლოთ წარმთეული, ისევ ხელში ჩაეგდო.

მაგრამ შერცხლებმა მაშინვე შეაშინიეს და ოთხის მაგივრათ ახლა უცბათ მთელი გუნდი შერცხლებისა გაჩნდა. როგორც კი ეს კაცი მიუახლოვდა კლდეს, მაშინვე ორმა შერცხალმა, როგორც წინეთ, ახლაც დაკოდილი შერცხალი აიტაცეს ძაღლა და დიდი აძბით სღვისაგენ გაეშურენ.

(თარგმანი)

ტახო.



## უკულო გოლიათი.



(ნორვეგიული ზღაპარი ასბერსონისა)

ეო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა  
 იქნებოდა, იყო ერთი მეფე და ჭკუადა შვიდი-  
 ვაჟი-შვილი. შვილები მეფეს ძალიან უყვარდა, ისე არ-  
 ვანსტუმრებდა სადმე, რომ ერთ-ერთი ძანც თავი-  
 სთან არ დაეტოვებ. როდესაც მოიხარდენ, დავაჟებ-  
 ცდენ, ძამამ ნება მისცა თავის ექვსივე ვაჟს, წა-  
 სულიყვენ და ამოეწიათ საცოლეები. მეშვიდე ვაჟი-  
 კი თავისთან დაიტოვებ. მძებს მისთვის უნდა ემოფ-  
 ნათ საცოლედ რომელმე მეფის ქალი. მეფემ ისე მდი-  
 დრად დაამზადა საგზაოდ თავისი შვილები, რომ იძათი  
 ჩაცმულობა ბრწუნავდენ ისე, როგორც მზის სხივები.  
 ძამამ მისცა შვილებს ექვსი უმეირფასესი ცსენი, რო-  
 მელნიც თითო ორი ათას მანეთათ ღირდა. მეფის  
 შვილები დაემზადენ, გამოეთხოვენ საუკარელ ძამას,  
 რომელმაც დაულოცა გზა და გაემკვზავრენ. ბევრი  
 იარეს თუ ცოტა, ბოლოს ეწვიენ ერთ მეფეს, რო-  
 მელსაც ჭკუადა ექვსი ქალი, სიღამაჲთ ერთი მეო-  
 რეხედ უმჯობესი.

მეფის შვილებს თავის დღეში არ ენახათ იძათ-  
 თანა ღამაჲნი ქალები და რა წამს ნახეს, მაშინვესა-

ცოლებათ მონდომეს. ქალებს მამა დაეხმებოდა, დალოცა და მეფის შვილები მაშინვე უკან დაბრუნდენ თავიანთ საცოლებით. ისე აღტაცებულნი იყვენ თავიანთ ბედნიერებით, რომ სწულებით დაავიწყდათ უნცროსი მძა, რომელიც სახლში დარჩა და მოელოდა, რომ უფროსი ძმები ამასაც მოჰკვირიდენ საცოლეთ მეფის ქალს. მეფის შვილებმა დიდი გზა გაიარეს და ბოლოს მოუსდათ გავლა ერთ ძაღლ კლდის ძირში. ამ კლდეზედ ცხოვრობდა გოლიათი. დაინახა თუ არა გოლიათმა მეფის შვილები საცოლებით, მაშინვე სუეველა ქვებთ აქცია.

მეფე უცდიდა და უცდიდა შვილებს, მაგრამ ისინი არსად სჩანდენ. ბოლოს ძალიან დაღონდა, იწყო ძწუსარება და ტირილი. ამბობდა: „ჩემი შვილების ნახვას ვეღარ ვეღირსები, გათაჯდა ჩემთვის ეოველივე სისარული“.

— შენც რომ არ მოლოდი — უთხრა უნცროს შვილს, — სიცოცხლეს აღარ ვინდომებდი და თავს მოვიკლავდი. ვაი ჩემს თავს, რომ აღარ ეღირსება ჩემი თვალები საუვარელი შვილების ნახვას. რას მოვესწარი ამას?

— მე მინდა მამავ, წავიდე ძმების სამებნელათ, უთხრა უნცროსმა შვილმა.

— ვერა გზით ვერ გაგიშვებ — უპასუხა მამამ, „ეკვებ შენც დამეკარგო“.

მაგრამ უნცროს შვილს ძალიან სურდა წასვლა და ძმების მოძებნა. იმდენი სთხოვა-ემუდარა მამას,



რომ ბოლოს ძამამ ნება დართო. მათ სჯავსებში  
 მონიშნებოდა მხოლოდ ერთი დავარდნილი ცხენი, რომელიც ისე გამსდარი იყო, რომ ძლივასდა დაღას-  
 ლასებდა. უკეთესი ცხენები წაიუვანეს უფროსმა ძმებმა და ეს დავარდნილი ცხენი დაუტოვეს ძმას. რას იქ-  
 მოდა მეფის შვილი, გამოიუვანა საჯინიბოდან ცხენი, გამოეთხოვა ძამას და გაუდგა გზას. იარა, იარა და გზასედ დაინახა ერთი ევაზი, რომელიც ისე შეეწუსებინა სიმძილს, რომ ფრთებს აფართუნებდა და გაფრენა კი ვერ შეეძლო.

— კეთილო ვაცო, ცოტა მაჭამე რამე და გაჭირების დროს გამოგადგებიო — უთხრა ევაზმა.

— ისედაც ცოტა საკმალი მაქვს — უხანუსა მეფის შვილმა. — აბა შენგნივ რას უნდა მოველოდე, რაში გამომადგები? მაინც ვატარას გიწილაღებ, რადგანაც გეტყობა, რომ ძალიან მშიერი ხარ. აიღო და მისცა ევაზს ცოტა საკმალი. გაიარა გარბა გზა და მიადგა ერთ რუს ნაპირას. დაინახა ორბგული, რომელიც იკლანებოდა, ფართხალებდა, მაგრამ წეაღში ვერ გადავარდნილიყო.

— კეთილო ადამიანო! ჩამაგდე წეაღში და გაჭირების დროს გამოგადგები — შევედრა ორბგული.

— ეჰ, შენ რა შეკლა შეგეძლება, შენ ვერაფერში გამომადგები. — მაგრამ მეცოდები, ვაი თუ სიმძილით მოკვდე. აიუვანა ორბგული და ჩაუშვა წეაღში. მეფის შვილმა იარა, იარა, გადაიარა ცხრა მთა, ცხრა სა-

ხელმწიფო, ქათე სასკლმწიფოში რომ შეკიდეს <sup>ქართული</sup> <sup>მეცნიერება</sup> ფეთა მგელი, რომელიც მუა გზახედ გამოტოლი იყო და სიმშილით ეკვდებოდა.

— ადამიანო! ღუთის გულისთვის მომეცი ეგ და-ვარდნილი ცხენი, — შეესვეწა მგელი. — სიმშილისაგან ვკვდები, მუცელი წელებზედ მიქეწვა. ორი წელიწადია, ჩემს ჰირს არაფერი ღირსებია.

— არა, მგელო! უზახუსა მეფის შვილმა. მე არ შემძლიან მოგცე ჩემი ცხენი. ჰირველად უვაგი შემსვდა, რომელიც სიმშილით კვდებოდა, ავიღე და ჩემი საკძლიდან ცოტა უწილე, მერე ორბგული ვნახე, რომლის წვალში ჩაკვება მოძინდა, ახლა შენ ცხენი მოგცე, რითღა წავიდე ჩემი ძმების საძებნელად?

— მიშველე, ესვეწება მგელი, მე წავიყვან და გაჭირებაშიაც გამოგადგები!

— შენგნით არაფერს არ მოველი, მაგრამ რაკი ეგრე გაჭირებული ხარ, აჰა, ჩემი ცხენი მომიცინა შენთვის. უზახუსა მეფის შვილმა.

როდესაც მგელმა შეჭამა ცხენი ძვალ-რბილიანად და კარგა გამოძღა, მეფის შვილმა შეკახმა ის და ვაუდვა გზას. მგელმა ისეთი ღონე მოიკრიფა, რომ გამოძღა და ისე განქარებით მოკურცხლა, რომ გაჭენებული წითელი რამიც კი ვერ მოეწეოდა.

— ცოტა გზაღა დაგვჩნა განსავლელი. გოლიათის ბინასაც ძალე მიჰადწევო, უთხრა მგელმა.

ძალე მივიდენ გოლიათის სასახლესთან.



— ესეც გოლიათის საბძანებელი — უთხრა მკელ-  
 მა. ქვებს რომ სედავ, ეს შენი ძმები არიან, გოლი-  
 ათმა ქვებათ აქცია ისინიც და მათი საცოლეებიც. აი  
 მესწავლეც აგურ არის, შედი შიგნით!

— არ შემიძლიან შესვლა, გოლიათისა შეშინიან!

— რისა გეშინიან, ისე შესვალ, რომ გოლიათი  
 ვერ დაგინახავს. იქ დაგხვდება ერთი მეფის ქალი, ის  
 გასწავლის როგორ უნდა მოიქცე, ვეკლავური გაუ-  
 კონე, რაც გითხრას — დაარიგა მკელმა.



მეფის შვილი შევიდა სასახლეში, მართლაც გო-  
 ლიათი იქ არ დაუხვდა. ერთ ოთახში დაინახა მეფის  
 ქალი, რომელიც ისეთი ლამაზი იყო, რომ მას არა-  
 ვინ შეედრებოდა.

— შენ რანაირათ გახნდი აქა—ჭკითხა მეუფის ქალმა. გოლიათს სომ ვერ გადაურჩები ცოცხალი, შენ მას ვერ შეებრძოლები, ის უგულო არსებაა!

— მინდა შევებრძოლო—უზასუსა მეუფის შვილმა, რომ გავანთავისუფლო ჩემი ძმები, რომელნიც გოლიათმა ქვევით აქცია და შენც გავანთავისუფლებ.

— რაკი მოსულხნარ, მეტი გზა არ არის, ხერხი რაძე ვისძაროთ—სთქვა მეუფის ქალმა. შეძვერი ტანტ ქვეშ და ყური დაუგდე მე და გოლიათის ლაპარაკს, მაგრამ კრინტი კი არ დასძრა, გესმის!

მიიძღა თუ არა მეუფის შვილი, შემოვიდა გოლიათი.

— უჰ, უჰ, ეს რა ადამიანის სუნი შესმას, რა აბაზავია? იკითხა გოლიათმა.

— კაჭკაჭი მიფრინავდა, ჰიროში ადამიანის ძვალი ეჭირბ და საკვამლეში ჩამოუვარდა. მე მაშინვე გადავაგდე, მაგრამ სუნი აქამოდის ისევე დგას.

გოლიათმა ხმა არ განცა.

საღამოზე გოლიათი მოსასვენებლათ წამოწვა, მეუფის ქალმა უთხრა.

— ერთი საკითხი მაქვს—თუ ნებას მომცემ!

— რა უნდა მკითხო?

— იცი რა? სად არის შენი გული, სომ შენთან არ არის?

— რა შენი საქმეა. მაგრამ გეტყვი, ჩემი გული აი იმ კარების ქვეშ არის ჩაფლული—უზასუსა გოლიათმა.

„იქნებ როგორმე ვიპოვნოთ. გაიფიქრა მეფის ქალმა. „დილა ადრინა გოლიათი ტყეში წავიდა. მეფის ქალმა და ვაჟმა კი დაიწყეს მიწის თხრა კარების ქვეშ, მაგრამ ამაოთ, თითქმის იქაურობა სულ გადათხარეს, მაგრამ ვერა იპოვნეს რა.

გაასწორეს ისევ მიწა. მეფის ქალმა და ჰკრიფა ყვავილები, გააკეთა თაიგულები, გვირგვინები და კარები შეამკო. გოლიათის მოსვლის დრო რო მოვიდა, ემსვილი ისევ შეძვრა ტასტ ქვეშ.

— რა ამბავია, ადამიანის სუნი შესმის—იკითხა გოლიათმა.

— გაჭკაჭს ჩამოუვარდა კიდევ ადამიანის ძვალი, მე მძინვე გადავადე. სუნი კი ასევე დვას, სომ იცი ძალე არ გაიწმინდება ჰბერი.

გოლიათი გაჩუქდა. ცოტა ხანს შემდეგ გოლიათმა ჰკითხა:

— ვინ შეამკო თაიგულებით ეს კარები?

— მე—უპასუხა მეფის ქალმა.

— რისთვის?

— როგორ თუ რისთვის? მე შენ ისე მიუვარხარ, რომ როგორ არ უნდა მოვროთ კარები ყვავილებით, როცა ვიცი, რომ შენი გული მაგ კარების ქვეშ არის დამარსული.

— შემცდარხარ, სულაც მანდ არ არის! სთქვა გოლიათმა.

სალამოზე, როცა გოლიათი მოსასვენებლად იწამოწვა, მეფის ქალმა ჩამოუგდო ლაპარაკი.

— მითხარ რა არის. სად არის ჩემი საუკუნედი გული, რომ შორიდან მაინც ვეჭრო და ვიჯერო გული შენი სიუვარულით.

— აი მაგ განჯინაშია ჩემი გული — უთხრა გოლიათმა.

„ახლა კი ვიპოვით, გაიფიქრეს ქალ-ვაჟმა.“

დილით ადრე გოლიათი წავიდა ტყეში.

მეფის ქალი და ვაჟი მაშინვე ეცნენ განჯინას, მაგრამ ვერა იპოვნეს რა.

— მოდი კიდევ ერთი ვცადო. სთქვა მეფის ქალმა. მეტი ევაზილები მოიტანა და უფრო უკეთესად მოართო მთელი განჯინა. დაბრუნდა გოლიათი სასლში.

— ოჰ, ეს რა ამბავია, კიდევ ადამიანის სუნი მესმის?

— გასაოხრებელმა კაჭკაჭმა გააჭირა საქმე, კიდევ სამოუვარდა ძეალი, მე მაშინვე შორს გავტოვრდნე, სუნი კი ისევ დგას.

გოლიათმა დაინახა განჯინა მორთული ევაზილებით და იკითხა:

— ესე კოხტად ვინ მოართო ეს განჯინაო?

— მე. უნაკუნა მეფის ქალმა.

-- რამ გაგასულელა?

— ისე მიუვარსარ და როგორ არ უნდა მომერთო, როცა ვიცი, რომ შენი გული განჯინაშია?

— აი მე სულელო! რასაც გეტყვი, მაშინვე დაიჯერებ.



— როგორ არ დავიჯერო, როცა შენ მითხრობ, რომ  
 — სულელი! ვერ მიაგნებ შენ იმ ალაგს, სადა

ჩემი გული არის!

— მანდა ვიცოდე, სად არის ჩემი საუკარული  
 გული?

აქ გოლიათმა ვეღარ დამალა და უთხრა:

— ჩემი გული არის შორს—შორს კუნძულზედ,  
 კუნძულზედ სდგას საუდარი, საუდარში არის ჭა, ჭა-  
 ში ცურავს იხვი, იხვს აქვს ერთი კვერცხი და სწო-  
 რედ იმ კვერცხშია ჩემი გული!

გათენდა თუ არა და გოლიათი წავიდა ტყეში,  
 მეუფის შვილიც მოემხადა წასასვლელად. დროებით გა-  
 მოეთხოვა მეუფის ქალს და გაუღვა გზას, იქ შველი  
 უცდიდა. მეუფის შვილმა უამბო მკელს ვოკელივე და-  
 წვრილებით რაც ხასა და გაიგონა სასასლემი.

— ახლა კი წავიდეთ, ვიპოვნოთ კუნძული და ეგებ  
 იხვიც დავიჭიროთ, რომ ჩაჯიგდოთ ხელში გოლიათ-  
 თის გული! გაუდგენ გზას. გაიარეს მთები, მინდვრე-  
 ბი ქალაქები, იარეს ბევრი დღე და ღამე და ბოლოს დროს  
 მიადგენ კუნძულს. მეუფის შვილმა არ იცოდა წვალზედ  
 როგორ გადავიდოდა, შეწუხდა. მკელმა ანუგეშა. ნუ  
 შეგეშინდებაო, ახლავე კუნძულზედ დავიბადებითო. ისეუ-  
 ჰა მკელმა და გადასტა კუნძულზედ. იპოვნეს საუდა-  
 რი, საუდრის კარი დაკეტილი დაუსვდათ. გასაღები კი  
 მდლხა სამრეკლოზედ იყო ჩამოკიდული.

— როგორ უნდა ჩამოვიღო, სთქვა მეუფის შვილმა:

— დაუმხე ვაჟს—უთხრა მკელმა.

მეფის შვილმა დაუძახა ევაკს და ევაკი მაშინვე მოფრინდა და ჩამოულო განადები. შევიდენ საყდარში, ნახეს ჭა და ჭაში იხვი. მეფის შვილმა მოავლო თუ არა სელი იხვს, იძან მაშინვე კვერცხი ჭაში ჩააგდო ახლა მეფის შვილს კვერცხი უნდა ამოელო.

— დაუძახე ორბგულს! უთხრა მკელმა.

მეფის შვილმა გამოიწვია ორბგული და ორბგული იმ წამს იქ დაიბადა და ჭიდან კვერცხი ამოუღო მკელმა ურჩინა მეფის შვილს — მოუჭიროე კვერცხს სელია!

როგორც მოუჭიროა სელი, მაშინვე გოლიათმა შესასარავი სმით დაიფიროა.

— უფრო მაგრა მოუჭიროე, უთხრა მკელმა.

მეფის შვილიც, რაც ღონე ჰქონდა, უჭერდა სელს კვერცხს, გოლიათი უვირილს უმატებდა და თან თხოვდა, — იღონდ გაძანთავისუფლეთ, გულს ნუ გამოიჭელებტავთო და რასაც მთხოვთ ავასრულებო.

— უთხარი, მენი ძმები თავიანთ საცოლეებით ადამიანებთ აქციოს და მხოლოდ მაშინ აღარას ერჩი. მეფის შვილმაც განიმეორა ეს სიტყვები. გოლიათმა იმ წამსვე აქცია მისი ძმები თავიანთ საცოლეებით ადამიანებთ.

— ახლა კი გასჭეულიტე მაგის გული, თორემ ევარ მოინუენებს და სხვასაც მაგ დღეს დააუენებს, რაც შენ ძმებს დააუენა.

მეფის შვილმა გასრისა გოლიათის გული.

დაბრუნდა მეფის შვილი გოლიათის სასახლეში.



იქ დაუსვდენ ძმები თავიანთ "საცოლეებით". მუცელსა და  
ქალიც გამოიუფანეს სასახლიდან და წამოვიდენ უკვლავ  
ერთათ სასაღამო.

მეფეს ძალიან გაჰსარდა როდესაც დაინახა შვი-  
ლები თავიანთ "საცოლეებით" და ჰირველი ადგილი თა-  
ვის გვერდით დაუძო. უნცროს შვილს.

მეგემ გადინადა დიდებული ქორწილი უკვლავ შვი-  
ლებისა ერთათ.

არამათისა.

(თარგმანი)



# მ წ ე ე მ ს ი.



მწენიერი დილა იყო. გუთნის-დედამ და-  
ბღვიძა შვილები და უთხრა:

„ადექით ჩქარა, ტანთ ჩაიცვით და გა-  
მორეკეთ საქონელი, ესლავე უნდა გუ-  
თან შვეაბათ და ჩვენებიანთაც შეატუბინეთ!

ბიჭები ძარდად წამოხტენ, გადღიცივენ ტანისამო-  
სი: ერთმა გამორეკა საქონელი, მეორემ უღლებს ტა-  
ხიკები დასსა, მესამეს შიგ საქონელი და წავიდენ  
სასნაჟში, მესამემ შესობელს შეატუბინა და ისინიც  
გაემკსაზრენ მინდვრისკენ.

სამსრობის შემდეგ გამოუშვეს გუთან, ერთი მწეემ-  
სი გაგზავნეს შინ ჰურის მოსატანათ და სსუებმა და-  
ღლილი საქონელი გარეკეს სამოჯრად. შინ გაგზავ-  
ნილი მწეემსი მალე მოეწია თავის ამხანაგებს, გუ-  
დაში ჩაწუბილი ჰურებითა და სასვითა.

„ბიჭო! მაშინა სომ არა გქონდა მაგ ფეხებში,  
რომ ეგრე ერთ წუთში დაიბადე აქა“.

— „ეს რა გაკვირვებთ შეილოსან, მარძან ჯლე-  
ვიჯვარს ვიუბვი მესრეთა და როცა გუთანი გამოუ-  
შვით, ჩვენები წამოვიდენ შინ და მე გამგზავნეს მინა



დვრიდან სოფელში სურჯინის წამოსაღწევის  
 ხვითს დაუწიე ერთ თვალის დახამხამებაზე და იქი-  
 დან აქ რომ დაგეწიოთ დიდი საქმეა!“

მწვემსები ზოგი დიღინით მიდიოდა და ზოგი  
 კიდევ ლახლახნადობდა, ერთი ერთმანეთს ფეხს უდებ-  
 დენ და აქცევდენ. მირეკეს საქონელი ერთ კაი ბალა-  
 ხიან მინდორზე და თვითონ იქვე კაკლის ხის ძირას  
 დასხდენ. მძიერმა საქონელმა ბალახს სრამი-სრუმი  
 აუუენა, ასე რომ მწვემსები მადახედ მოვიდენ და ჰუ-  
 რის საჭმელად მოემსადენ. ერთმა უთხრა:

— „ძმაო, ჯერ ერთი კაი ცეცხლი ავაგუგუნოთ  
 და ძერე ისე ვჭამოთ ჰური. ჯერ სომ ადრეა მანც!“

— ძე ადრე-მადრე არ ვიცი! სთქვა ერთმა—ამ  
 საქონელმა ისე მომიუანა მადახედ, რომ ხახვისთვის  
 კბილები ამიწავწაკდა, თუ ხახვს არ მომცემთ, ესლაგ  
 ბალახს დაუწეებ ჭამას“.

— მოიცა ზარა ხანს—უთხრა მესამემ.

ღაბინდა, დაღლილი საქონელი ძირს დაეარენ  
 და მიხუშებულ არე-მარეს ხუნეშვით ავრცელებდენ.  
 მშვენიერი ჭრილი ღამე იყო. მთვარე დავანძმებული  
 იყო და კარგა შეუგვიანდა ამოსვლა. ერთმა მწვემსმა  
 წკირა ამოიღო ნაბდის ნაკეციდან ჩინჩხვარი მოაგ-  
 როვა და დაიწყო ცეცხლის დანთება. ცოტა რომ მო-  
 ეკიდა, ის იყო უნდა გაძლიერებულიყო, ჩაქრა. ბი-  
 ჭმა უბერა, უბერა და ვერ ანათო.

— ეე, ძვილოხან! შენ კაი ნათლია არ გყოლია.



— აბა მომეცი მე, როგორ ავანთო, ჩემისთანა წა-  
თლია აქ არავის არ გეუოლებათ. ერთის შებერვით  
ავანთებ მაგ ცეცხლს! სთქვა ერთმა.

მივიდა ის ბიჭი, უბერა, უბერა, მაგრამ იმისმა  
დაკვენილმა ნათლიამ ვერ გასწრა.

მერე მეორე წამოხტა და სთქვა:

— მე ნათლიას არ გეკვესებით, მაგრამ ცეცხლს  
კი ავანთებ! შეუბერა ერთი-ორჯულ და ცეცხლი ააგუ-  
გუნა.

— ეე, შვილოხან! ჩვენ გავასურეთ და იმიტომ  
აანთე, თორემ შენისთანა ბიჭები ვერ აანთებდენ.

— ცეცხლი კი ავანთე და ასლა რამდენიც გინ-  
დათ იუბედეთ. “უთხრა თავ-მომწონე ცეცხლის აძთებმა.  
შუქებსები ცეცხლს გარშემო შემოუსხდენ, ამოიღეს  
გუდიდან ჰურები, ხასვი და სუფრის მაგივრად მწვანე  
ბალახსედ დააწეეს.

— „აჰა და ასლა რამდენიც გინდა სჭაძე ხასვი,  
წელან რომ ილაჯი წაიღე!“

— „ასლა რაღად მინდა, როდესაც საქონელი  
დაეუარა და აღარ ახრამუნებს ბალახსა!“

— არა, ბიჭო, როცა ძაღლი ძვალს ღრღნის  
სოლმე, შენც იპოვე და დაუწეე სოლმე ღრღნა რაღა!“!

— შენ დაუწეე ძაღლთან ძვალს ღრღნა, თუ კარ-  
გია.

— მე არც მიღრღნია და არც დავღრღნი, შენ კი  
ეგრე მოკვიდება, საქონელმა ბალახს სრამა-სრუმი აუ-



უენეს და გინდა თუ არა, მეც უნდა ვასრულონო  
სვიო და თუ არაო და ბაღასს შევჭამო.

— ჰო, გეუოფათ, მოდი დაეწინარდეთ და მერე  
ვინახარბოთ, ჯერ სომ არ გეძინებათ?

— ეგრე ძალიან კარგია, ჯერ დაგზავრდეთ და  
მერე ვინახარბოთ; ზღაპრებით კი არა, რაც სოფ-  
ლებში სახეცილო ამბებს ამბობენ.

— კარგი, კარგი, წამოიფიქრეს ეველამ.

დასსდენ ჰურის საჭმელად. ჰურის ჭამა რომ გა-  
თავეს, მოჰყვენ ბაასს.


ერთმა დაიწყო ამბის თქმა.

— იცით ბიჭებო, ბიძამ რა ძიამბო მოხისელებ-  
ზე! (იქ მეოფი მოხისელი მწუქისი წამოაწითლდა) —  
ერთხელ მოხისელებს უნდა თავი დაესნათ ბატო-  
ნებისაგან და დასწერეს არსა, რომელიც უნდა  
გორის მარშლისთვის მიერთდიათ. შეიკრიბენ და თა-  
ვიანთ თავათ ლაზარაკი დაიწვენ, როცა ნახეს რამ.  
დენიმე თაბასზე გაჭიანურებული არსა: — „ეჟა, და  
როგორ უნდა წავილოთ მავოდენი ლაზარაკი ზურგით  
გორამდისა“.

— „მართლა და ტყუილს არ ამბობო! წამოი-  
ძახეს ეველამ.

— „აბა შენვე გვირჩიე, როგორ წავილოთ ეგ ლა-  
ზარაკი გორს?“

— „როგორა და საქონელიბევრი გვეავსო, შევა-  
ბათ გუთსეული ურმები და ისე წავილოთო.



— „ეგ მე უნდა მეთქო! წაძოიძასეს სსვებმა.  
„მერე მორეკეს ბიჭებმა, დარჩეული ხარ-კამეჩი, შეაბეს საძნე ურემში, არსა ჭალზე მიაკრეს და გაემკზავრენ გორში, ცარიელი ურმის რასა-რუსით მოვიდენ ამოდენა ხალხი გორში გუთნეულით. მარშალი დაინახეს, რომელიც ბალკონზე იყო და სალაში მისცეს, მერე ჩამოხსნეს არსა ურმის ჭალიდან და მიართვეს. მარშალმა წაიკითხა და უთხრა:

— ხალხნო! გუთნეული რათ შეკიბაბთ, ფეხით კი ვერ წამოხვიდოდითო?

— „არა შენი ჭირიძე ჩვენთვის კი არ შევაბით, ემაგ არხინთვის, რომ უფრო ადვილათ წამოგვედო, თორემ ზურგით ზადვით წელი მოგვეწედებოდაო“.

— მამ რადგან ეგრეა, წაიღეთ ეგ ურმები, ჯალჯი მოსჭერთ და ჩემი ბაღი დაჯალჯეთო.

გამთართვეს წაღებები და წავიდენ ჯალჯის მოსაჭრელათ. რომ დაინახეს ეკლები, შეეძინდათ, ხელებში არ გვიხსულიტოსო, მოაბეს წაღებს თოკები და შორიდან დაუწვეს სროლა. ესვრიან და ისევ უკან სწევენ წაღებს, რასაკვირველია იმათ ვერა მოსჭრეს-რა და წამოვიდენ მარშალთან. მარშალმა გამოინედა და უთხრა.

— „კაცო, ვერა მოსჭერთ-რა?“

— ვერა შენი ჭირიძე, რომელთანაც მივედით, ეველას მუბები ეჭირათ და ვერ მიუდგენთ, რომ მო-



გვეწრბ, თუძცა თოკებიც მოვაბით წაღღებს<sup>სწიქს</sup> უწყ<sup>სწიქს</sup>  
კესროდით.

უფროსი იცინის იმათ სისულელეზე, კვდება,  
კვდება სიცილითა. როცა კარგა მოიჯერა გული სი-  
ცილით, მარშალმა უთხრა:

— კარგი ცოტა დაისვენეთ, ცოტა სილხაც მო-  
გართმევთ, რადგან ბევრი იომეთ შუბიანებთანო!

მოხისელები დასნდენ ჩრდილში. მარშალმა ბალი  
გამოუგზავნა. — ბიჭო! ბალს ცოტა ოდენი ჭიანჭვე-  
ლები შეჭსვეოდა. უფროსი შორიდან უუურებდა. მო-  
ხისელებმა გაუსვეს ხელი და ბლის მაგივრათ, ჭიან-  
ჭველებს დაუწვეს ელახა.

„კაცნო რას შერებითო, ჭიანჭველების მაგივრად  
ბალი სჭამოთ!

— ფეხიანი, თორემ უფეხო სად წაგვივაო“.

უნასუსეს მოხისელებში.

რასავეირველია უფროსს სიცილით კინაღამ მუ-  
ციელი გაუსკდა.

— წადით შეილო, დმერთმა გიშველოთ, ამდენის  
სიცილინთვის მე თქვენ საქმეს წავმართამ.

გამობრუნდენ და მივიდენ თავიანთ სოფელში რვა  
უღელი ხარკამეჩით“.

მწეემსები მოკვდენ სიცილით მოხისელების სი-  
სულელეზე

— ახლა შენი ჯერია სანდრო, შენ უნდა გვიამ-

ბო რამე—აბა ჩქარა დაიწე! მიუბრუნდენ მეორე მწეებს.

— კარგი მეც ერთ ამბავს გიამბობთ.

— „ერთხელ ერთმა კაცმა შონინდომა სველი ორმოს გაშრობა აიღო ბლომად თივა და ჩაყარა ორმოში, თვითონაც შიგ ჩავიდა, ცოლს ამოსძახა:

— „დედაკაცი, ერთი მუკუსალი მომიტანე თივას მოუკიდო და ორმო ამოვაშროო.“

ცოლმა მიაწოდა, — ქმარმა მოუკიდა და უცდის ვნახოთ რა იქნებოდა. ამ დროს გაძლიერდა ცეცხლი, ვედარ ამოვიდა და უვირილი შორთო. ცოლი გარეთ გავარდა და მოჭევა უვირილს — „მიშველეთ ქმარი მეწვის ორმოშიო.“ თან შირბის რაც ძალი და ღონე აქვს. სირბილის დროს ხალხს ფეხი წამოჭკრა და გუბეში ჩავარდა და იწეო უფრო ღრიალი; მიშველეთ დავისრეო!

ხალხი ზოგი დედაკაცისკენ გაექანა, ზოგი კაცისკენ, ძალე ამოიუვანეს ორმოდან, თორემ სულ ერთიანათ დაიბუგებოდა. სელები, ფეხები დაეწვა და ის კი გაიძახოდა, „ვაი ჩემო ჩონაო.“

წუძეში ამოლანგული დედაკაცი კი ჩიოდა თავის კაბას:

— ეჭ—ბიჭებო ერთი ამბავი მეც უნდა გიამბოთ!

— აბა შენ იცი, კვიამბე!

— „ერთხელ ერთი ურეეო სოჟლიდან წამოვიდენ რამდენიმე კაცი—დაიწეო მესამე, ურმით და და-



ლა მოუტანეს ბატონს. რომ უკან გაბრუნდეს — უფროსი  
 ფულგრო სე იზოვნეს გზასგდ მოჭრილი, აიღეს და  
 დაუდეს ურემზე. იმათ გზასე ჩიბუნის მოწევა მოუნ-  
 დათ, ცეცხლი არა ქეონდათ. გზაში ცეცხლი იმოფ-  
 ნეს, ჩიბუნს მოუკიდეს და დანარჩენი მუგეზალი ფუ-  
 ლგროში ჩასდეს თქვეს: გზაში კიდევ მოგვინდებაო  
 ჩიბუნის მოსაკიდებლათ და თან რაც ჩინხვარი  
 მოხვდათ სულ იმ ფულგროში ჩაუარეს. ამ დროს გა-  
 ძლიერდა ცეცხლი და ჩინხვარმა ტკაცა — ტკუცი დაი-  
 წყო და გაძლიერდა ცეცხლი. ფულგროდან ბოლმა ამოსე-  
 ლა დაიწყო როგორც ბუნრიდან, ალიც ძალე გამო-  
 ჩნდა და თან და თან უფრო ძრეიდებოდა. კამეჩები  
 დაფრთხენ, გაიქცენ და თავიან გზის მაგივრად სხვა  
 სოფელში ჩაუსვიეს. ხან აქეთ ასეთქებდენ ურემს და  
 ხან იქით.

იქაური მცხოვრებლები დაფუთდენ, დაწიოკდენ,  
 ნამეცნავად ქალები, ძაღლებს ეეფისგან სმა წაუვი-  
 დათ. კაცები შეგროვილიევენ და ევიროდენ: ექვთჯან  
 დაქცეული მაშინას აქ ჩვენ სოფელში რა უნდაო?

რის ვაი-ვაკლასით კამეჩები შეაჩერეს, ცეცხლი  
 ჩააქრეს და თავიანთ გზას გაუდგენ. უკანიდან ხალხი  
 მისძახოდ:

— ღმერთმა შვიდობაში მოგახმარით თქვენი სა-  
 ტიალო მაშინაო, ჩვენ გულები დაგვიხუთქეთ, შვილო-  
 სან! შეურძეებს, კაცო, ისე შერცხვენოდათ, რომ სულ  
 ალ-მური ახდიოდათ სირცხვილისაგან.

— თურმე ესლაც რომ შესვდიან მეურმეებს სოფლის ვინმე კაცი, უთუოთ ეტყვიან სოლმე:

— ი, ი, ი! თქვენ მაშინას რატომ აღარ გაბრინდებთ“.

— ხა! ხა! ხა! თუ ძმა ხარ კიდევ თქვი, ერთი კიდევ, ეგ ძალიან კაი ამბავია. წამოიყვირეს ვეველამ.

— ესლა შენი ჯერია შეილოხან, ახლა შენა თქვი რამე— მიუბრუნდა მესამე ამხანაგი მეოთხეს. მეოთხე ამხანაგიც მოჰყვა და ჩამოვარდა სიჩუმე.

— ერთხელ ჩვენებთან სიკა როცა პატარა ეოფილა ღამე ხარში გაეკზავნათ. ბნელი ღამე ეოფილიყო. ერთბაშათ ჩასძინებოდა, როცა გამოჰღვიძებოდა, ენახა, რომ ერთი კამეჩი სადღაც გაპაროდა. მაშინვე წამოხტა და ნიკორას სამეხელათ წავიდა. გზაზედ ქუდი გადაუვარდა და ვერ დაინახა, საით გაგორდა. ქუდს ძებნა დაუწყო, უცბათ დაინახა ქუდის მკვასისი და სელი მოაულო. თურმე ნუ იტყვიოთ, ის ქუდი კამეჩის პატრივი ეოფილიყო და უხეირო კალატრონივით შივ სელი ჩატანტლა. დაიწყო ბურტყუნი და გასწია, რომ რამე იპოვნოს სელის გასაწმენდათ, იქვე ახლო ეგალი ეოფილიყო და იმას კი ფოთლები ჰკონებოდა, მოჰკიდა სელი და ეკლები სელში შეერჭო. ძალიან ემწარა და სიბნელისაც შეეშინდა. დაბრუნდა უკან თავის ძველ ალაგას და ძაღუ დაემინა.

დილით, როდესაც ცისკარმა კამკამი დაიწყო, საქონელი წამოიძალა და ბაღახს მოვნა დაუწყო. სიკას გამოეღვიძა და ნახა, რომ ნიკორა კამეჩი იქარ იყო და სელიც დასაკებული ჰქონდა. როცა კარგა გათენ-



და, წავიდა და გააკვირბინა სახლში, რომ ნიკორს ვიხსენებო  
 მენი ღამე გაძეპარაო. ძამა მისი და ბიძა წავიდეს სა-  
 ძებნელად. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, აღარ არის იმა-  
 თი ნიკორა. წავიდეს ძაღლა ძთაში საძებნელათ. ბიძა  
 ძაღლა ძთაზე ავიდა და ძამა კი ძირს იყო და დაუეჭირა:

— „ი—პ—ო—ვ—ნე“ —

ბიძა ისე ძაღლა იდგა, რომ კაცის სმა ძღვივს  
 ისძოდა, იქიდან თავს იქნევედა და თან არას ძაკვირათ  
 — ნწ-ს აძობდა. საღამოზედ ერთათ შეიუარენ და  
 სიკას ძამამ უთხრა:

— რა თავს ძახეთქინებდი ევირილით, სძას ვერ  
 გამცემდი?

— „ძამ ვერ გაიკე, რომ იქიდან თავს ვიქნევედი  
 და ნწ-ს ვიძახდი.“

— „ჲე ოხერო და ძაღლა ძთაში „ნწ-ს“ იძახდი  
 და ძე ბარძი რა უნდა გაძეგო. ძე შეგონა როცა თავს  
 იქნევედი, რომ კამენი იპოვნე. შენი იძედით დაპბრუნ-  
 დი სახლში გახარებული.“

წავიდა და წავიდა, დაეკარგათ კამენი იმ საწ-  
 ელებს, სულ კი ძძინარა სიკას ბრალი იყო.

— კარგი, გეოფათ ებედობა, ასლა დროა ძი-  
 ლისა. ნუ გავიწუდებათ, რომ სჯალ გუთანა გვიბია.  
 ძწეეძსები ძაძინათვე წაძოიძაღენ და დაიწუეეს ბინე-  
 ბის არჩევა დასაძინებლათ. ძაღე ეველანი დალაგდენ  
 და ჩაძოვარდა სიხუმე. ძსოლოდ ძაღლიდან დაჰეუ-  
 რებდა ბადრი ძთვარე და თავის სნივეებს უფრქევედა  
 ძათ გარძემო და ეაღერსებოდა.

## ჩ ე მ გ უ ლ ა\*).



ეტათ მშვენიერია ალტაის  
 მთები გზაფხულზე. მე ძა-  
 ლიან მიუჯერდა მის კლდეებზე  
 ასულა და ნაპრალებში თეთრი  
 იის დაკრეფა. მეტადრე რო-  
 ცა ვიცოდი, რომ დედას და  
 მამას უასიამოვნებდი ამ უვა-  
 ვილების მიტანით. სოკჯერ  
 საშიშიც იყო ამ ციცაბებზე.

აცოცვბ, მაგრამ მე ძანც არ ვიძლიდი ხეტიალს. აი  
 სწორეთ ამ ხეტიალის დროს მივაგენი ჩემგულას ბი-  
 ნას, ამ ბუნების თავისუფალი შვილის ბუდეს. ბუდე-  
 ში კვერცხები იღო და ჰატრონი კი არა ჩნდა. აბა  
 რას დავინდობდი, რომ ერთი კვერცხი ძანც არ წა-  
 მომეღო, თეთრი იები დედას მიუტანე, კვერცხი კი  
 ჩუმათ წავილე და ბებიის დასმულ დედა ბატს გამო-  
 საჩეკათ ჩაუდე. დედა ბატი სისინებდა, ჯავრობდა, მა-  
 გრამ კვერცხი არ გადამიგდო და იჯდა ზედ, სანამ  
 თავისი შვილები არ გამოჩეკა. მძინ ჩუმათ გამოვა-

\*) ალტაის მთებში (სიბირში) არის ერთ-გვარი არწივი ჩემგულას  
 ეძახიან.



ცალკე კვერცხი და მეორე დედა-ბატს შეკუდე, რომელიც იმაზე კვიან დაესვათ კრუნაჲ. ბოლოს კვერცხი იქიდანაც გამოვიდე და ერთ სულელ ინდოურს შეკუდე და ველოდი საქმე რითი გათავდებოდა.

ერთსელ დილით დედასთან და ბებია ჩემთან შემოვარდა საჭმლის გამკეთებელი დედაპაცი და აღელვებულმა უამბო, რომ ინდოური გადარეულა, ბუდიდან გადმოვარდა, იქ ვიღაც უცხო ბარტყი გაჩენილა, რომელიც სულ არა გავს ძ.ს ჭუჭულს.

ბებია და დედა ჩემი ძამინვე წავიდენ სამხარეულოში, სადაც გამართული იყო ინდოურების გამოსახეი ბინა. მეც მათ გავეყვი, მინდოდა მენახა არწივის ბარტყი. სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ალიაქოთი გამოიწვია მოულოდნელმა სტუმარმა — არწივის ბარტყმა. დედა ჩემმა თვითონ ახადა ინდოურის ბუდეს, რადგან საჭმლის გამკეთებელი დედაპაცი კერა ბედავდა და ჩვენ თვალებს წარმოედგა ერთი უშნო, სამაგელი ბარტყი განიერი თავით, ჰატარო ცხვირით და დიდრონი ფართო თვალებით. ჩემი ბარტყი სწორეთ ბუს მიეკვანებოდა. დედა ჩემსაც კი შეემინდა, უკან გადვა.

ამ ამბავმა დიდი ღვაწლი გამოიწვია. დღემდე ამის მსგავსი არც არა ენახათ-რა და არც არა გავგონათ რა. ბებია ფიცულობდა, რომ ინდოური მხოლოთ ათ კვერცხსე დავსვიო და მეთერთმეტე საიდან გაჩნდა — ვერ წარმოედგინა. ბოლოს იტირა კიდევ,

რადგან ეს კარგს არას მოასწავებსო. მან ჩემს მინვე გადაჭრით თქვა, რომ ეს არწივის ბარტყიაო და ერთი სსვანაირად გადმომხედა. მე მაშინვე სირცხვილით თავი ჩავღუნე. იმან ცოტა არ იუოს გაიღიმა და მეზე ეს უკნაური ბარტყი კასახრდელათ მე ჩამაბარა. მეც დიდი ამბით გალიით წავეყვანე ბარტყი ბადის კუნჭულში, მოუგროვე დიდ ძალი ჭიები და მითი გამოვამღე და კვლავაც ეურს ვუგდებდი. სამინელი სისწრაფით იხრდებოდა, ერთ კვირაში ველარცკი იცნობდით, რომ ეს ის ბარტყია. ეს ტყუილობაში დახედებული არსება, რომელმაც არ იცოდა, თუ რა არი თავისუფალი ნაკარდობა მთებში, თითქოს სწუნდა დაკარგულ თავისუფლებასე. ცალიაში იჯდა სოლმე უძრავათ, თვალები მიხედილი ჰქონდა და მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდებოდა, როცა საჭმელს მივუტანდი.

ამ წელს გასაფხული ადრე დაგვიდგა და ეველს ხარობდა ბუნების მშვენიერებით, სოლო ჩვენი სახლი დაქშუსრდა. ბებია უცბათ მძიმეთ ავად გახდა და დარწმუნებული იყო, რომ ჩემი არწივის ბრალია.

— სამი კვირა გახდა, რაც ეგ ბარტყი ჩვენთან არის და მას აქეთ მეც სულ ავათა ვარ. ამისთანა თბილ დღეებში ხელ-ფეხი დაკრუნხული მაქვს... გადაკარგეთ ეგ სამაგელი, თორემ უარესი დაგვემართება...

მე ძალიან მენახებოდა ჩემი ბარტყი. „სად



კადავაგდო, ვეიქრობდი, ჯერ სულ ჰატარა, არ შეუძლიან და დაიღუპება“.

ჩემი შვილობილი უფრო შორს ბაღში მივმალე, სადაც იასამნების სმირი სეები იდგა.

თითქოს ძართლა გარეული ფრინველის დაჭერა უბედურობას მოასწავებსო, ძამა ჩემიც და ჩემი საუვარელი ჰატარა მხაც ძრეულ ავათ გასდენ. ჰაჰა ჩემმა ვეღარ მოითმინა და მოჰინმო:

— გესმის ვანო, ამ ორ დღესე აღარა ვნახო აქ ფრინველი. ჩემკულას უეღარს თავისუფალი ცხოვრება, ტუკობაში ვერ გასძლებს.

— საუვარელო ჰაჰაჰ, ვუთხარი მე ნაღვლიანათ, — სომ დაიღუპება, ჯერ ფრენა არ შეუძლიან.

— ჩემო ვანო, ბებიისე ისეთი ცრუმორწმუნება, რომ შიშით მოგვიკვდება.

სმა არ ამოვიღე. უცბათ თავში გამიეღვა ჩემდა სანუგეშოთ ერთმა აზრმა: მოდი წავიყვან ჩემკულას ისევე თავის ბუდეში.

— სომ ამისრულებ თხოვნას, ჩემო გვრიტო?

მე ჰაჰას ჰირდაჰირ თვალეში შევხედე და ვუჰასუსე:

— ჰო, ჰაჰაჰ! უსათუოთ მოგამორებთ!

კარგათ მახსოვს ის დღე... ღრუბლიანი დილა იყო, წვიმა წმინდათ სცრიდა. მთავორბაკები მოხურული იყო წვიმისთვის. არწივს ფრთები შევუკარ, საშინლათ იკბინებოდა ახლათ ამოსული ბრჭყალებით, ბოლოს დაიღადა, დაცხრა. ჩემი შიშის თავშალში გა-



მოკვარ და ჩუბათ გაუდგე გზას. თბილათ ჩავიდა რომ წვიმას არ დავესველებინე მე კარვათ მახსოვდა ის ნაპრალები, სადაც ვერებდი იებს და კლდე-ღრუები, საიდანაც წამოვიღე კვერცხი... თამაშად გავწიე იქითკენ, უნდა კვერცხის ადგილას ბარტეი ჩამესვა. საბრალო შეცოდებოდა, ღვთის ანახარა ვერ მივატოვებდი... არ ვიცე რა შემართებოდა, აღმართი გრძლათ მხევენა, სველ ქვებზე ფეხს ვერ ვიმაგრებდი, მიცურდებოდა, ორჯერ-სამჯერ კინაღამ უფსკრულში ჩავარდი... მაინც კარვა ძაღლა აველ.

გამოხნდა ეს ადგილიც ნაპრალები, თეთრი ლამაზი იებიც დაგინახე. ისინი ჯერ კარვათ არ გაუურჩენულიყვნენ, თითქოს წვიმის ქვეშ სციოდათ.... აი ნაცრის ფერი ციცაბიც...

გული ამიტოვდა.

„ვაი თუ ჩემგულებმა კვერცხი რომ დაკარგეს — ბუდაც მიატოვებს? ბებია ეოველთვის ამბობს, რომ მთის კარეულ ფრინველებს უნდა გაუფრთხილდენ, თორემ მათი და კიდევ გედის სიკვდილი გამოიწვევს სოლმე ადამიანის სიკვდილს. ამიტომაც ბებიას ძალიან ეშინოდა, რომ ჩემი ბარტეი არ მომკვდარიყო და ძაღლს არ მატანდა, რომ გადამეგდო, სანამ არ გაუჭირდა. —ასლა ჩემმა აქ ამოსულამ რომ სულ უბრალოთ ჩაიაროს... რა მეშველება...“

მე მხოლოთ ათი წლისა ვიყავი, მაგრამ ჩემი თავი ვაქვაცათ მიმაჩნდა და ჩემდა სასირცხვილოთ ცრემლებს



ძლივს ვიკავებდი, მზათ ვიეპე ცირილს მიმეცემდი, როცა მომავლნდებოდა ბარტყის აქ უხატრონოთ მიტოვება; უსაზრდოთ ჩემი გასრდილი სომ სიმძილათ მომიკვდებოდა. ან როგორ შევძლებდი ეოველ დღე აქ ამოსვლას მის საზრდოებლათ. შე რომ იმ ქვებს მოვკიდე სელი, რომლის ნაპრალში შეგულებოდა ბუდე, სიმწრით თვალეპი ამიჭრიალდა. არეძარე მთლათ ბურუსათ იუო მოცული. მირს ვერ ჩამეხედნა, თაბორუ მესხმოდა. ერთბაშათ სულ ახლოს მომესმა, თითქოს საუკირეაო, დედა-არწივის ჩხავილი, მაშინ კი ჩემი გული ცოტა არ იუოს დამძვიდდა. უცბათ, სწორეთ ჩემ თავსე, კამონხნა ერთი ხმაურობით არწივი. მის ჩხავილს ჰასუსი გასცეს ორმა ბარტყმა. ჩემ თავშალშიაც ბარტყმა ფართხალი დანიწუო, ცდილობდა თავის დაღწევას, ტანისამოსს მიგლეჯდა, მკორტხიდა, ისე მიჭირებდა საქმეს, რომ ლამის უფსკრულში ჩავარდნილიეპე. ღრუბლები სულ მადლბა-მადლბა ადიოდა და დიდ წვიმას აპირებდა. — მაგრამ მაშინ შე აღარა გამეკებოდარა. ერთბაშათ ვიდანსიც მძლავრი ფრთა მომხვდა მხარში და კინაღამ ვადმისროლა უფსკრულში.

ამ დროს საბედნიეროთ აზრმა გამიელვა თავში: მოდი თავშალს გავსენი და რაკი ნახავენ ბარტყს — აღარას ძერხინან. კლდეზე ბეჭებით მივებჯინე, ფესები კარგათ შევიძაგრე და ერთ წამს გავსენი თავშალი. ბარტყმა ჰატარათ დანისხავლა და თვალეპი ფართოთ



გაბლო არწივმა ხელი აღარ მძსლო, გადმოძნედა, თითქოს ხვენ შორის თანხმობა ჩამოვარდა. ეს ჭკვიანი, გამბედავი და ღონიერი ფრინველი ხემ გან-



ძრახვას მიძინებდა! ბუდეში სულ ორი ნაბიჯი არ იქნებოდა, იქიდან მოჩანდნ ბარტყები. ეს ხეში ბარტყიც დიდი საფრთხილით მივუმატე იმათ. ერთ წამს ამოვიღე კალმის დანა (ჯაეუბა) და მარჯვეთ გაუნთავისუფლე ფრთები. მან სისხარულით ფრთა-ფრთას შემოჭკრა, გადასწედა ბუდეში თავის ძმებს, მათაც მხიარულათ სმა გასცეს.



აღელვებით მისუსტებული მივჯექი იქნენ მისთვის  
 გარემო ისეთი ბურუსი იდგა, რომ ცხას ვერაგ სცო  
 ვერ ვავიგნებდი.

„ნუ თუ არწივები დამკორტნიან! ძირს სომ მა-  
 ინც ვერ შევძლებ ჩასვლას, დავიღუპები. სჯობია აქ  
 დავრჩე; რაც მოხდეს—მოხდეს... მაგრამ მათ რა ჩე-  
 მი თავი ჰქონდათ. გასარებულნი ერთმანერთს შესწხა-  
 თდენ, თითქოს ერთმანერთს უაძობდენ თავიანთ თავ-  
 ვადანსავალს“.

„ნუ თუ იცნეს ერთმანერთი, ვფიქრობდი, თან  
 თვალები შესუჭებოდა, ვგრძნობდი სისუსტეს. მერე  
 ქუთუთოები სულ ვეღარ ვაუაღე, ბოლოს რაღაც  
 სიამე, სითბო ვიგრძენ. არწივები მიჩუქდნენ. არ ვი-  
 ცდი, მეძინა თუ გულმეძოვრილი ვიყავი. ვიცდი კი,  
 რომ კარგა დროს გავეღო... თვალები რომ აუახი-  
 ლე, შეადღის მზეს თავისი სსივები მოეუინა მთელ  
 კლდე-ციცაბებსე და ბუდესაც სამივე ზატარა არწივუ-  
 ბით კაშკაში გაჰქონდა. მათი დედ-მამა ჩემ გვერდზე  
 ისხდენ სუფ-განახულნი და მხიარულათ მესცქეროდენ  
 ბრწეინვალე მზეს.

ჩავიხედე ძირს, იქ მდინარე მოიკლავებოდა,  
 ველ-მინდორი მწვანეთ მობიბინებდა და ჩვენი ეკლე-  
 სიის ჯვარს ბრწყევიალი გაჰქონდა. მოძინდა შინ წა-  
 სულა... ვადავხედე არწივებს.. ისინი მშვიდათ ის-  
 ხდენ, თითქოს მიდარაჯებდენ.

ახლა რომ მომკარდენ, რა შეშველება! ვავიფიქ-



რე შიშით და თან პირს ჩასვლა დავიწყო. მათ თვალი მოიბრუნეს ჩემკენ და თავიანთი ჭკვიანი, თვალებით მიწივეს უურება. მე ნელა-ნელა ჩავდიოდი ქვევით. ერთი მათგანი აფრინდა და ძალიდ-ნ თვალი მადუნებდა. მეორე მიუჯდა ბუდეს. როდესაც გასაფლელი ძნელი გ'სა ბოკიბორო და ველ-მინდორსე ჩამოველ, შემოდან მომესმა მათი მხიარული ჭეველიანი, თითქოს მილოცავდენ, რომ სამშვიდობოს გამოველ.

ბინდი იყო, რომ სახლში მოველი. დაღალულ-დაქანცული გავიქეცი ბებიასთან და შევძახე კარებიო დანვე: — ახლა ვველანი კარგათ გასდებით, მამაც, მამაც... ჩემი ჩემგულა შიიღეს დედ-მამამაც, ბარტყებმაც... ბუდემი ჩავსვი!

მშვენიერი ამინდი იყო. გამაცოცხლებელი გასაფსულის დღეები დადგა. მამაც კარგა გასდა, ჩემს მამაც სრულებით მორჩა... ბებიაც კი ცოტა არ იყოს, მოცოცხლდა და გამხიარულდა. ამ გასაფსულმა ჩემ-გულებიც გამხიარულა, მათი ჭეველიანისა სად არ გა-ისმოდა.

ტახო.

(თარგმანი)





მ ა ი ს ი ს № 5.

გამოცანები: თითისტარი, ჩრდილი.

რეზუსი: ორაგული.

ამოცანის ახსნა: ამ ცხრა კაპეიკს მიემატა სამი კაპეიკი ისე კი, რომ სიგძლივ და სიგანით ოთხ-ოთხი კაპეიკია:

..		
·		:



დახედეთ ამ სურათს და დამიწერეთ პატარა ამბავი. რომელი ამბავიც საუკეთესო იქნება, მის დამწერს საჩუქრათ მიეცემა აკაკის სურათი და ამბავი კი დაიბეჭდება.



## სურათი.



ულ-მკერდი გაიფირუზა  
ცამ ზღვასებრ მოჭათქათემა  
და მწვანე კაბა ჩაიცვეს  
კავკასიის მთის კალთებმა.

ოვლის საბანი გადიძრო  
საინდ გადახსნილ წალკოტმა,  
ყვავილით გადაპენტილმა  
რხევა დაიწყო ბლის ტოტმა.

მდღეოზე თავი ამოჰყო  
მუქ ფოთლიანმა იამა:  
მას გადუკოცნა ქოჩორი  
ნაკადმა შხეფებიანმა.

ბულბულმა შვების ჩანგზედა  
სიმები ააწკრიალა  
და ცაში შვება-ნავარდით  
ფრთა გაშლით შეისრიალა.

ვიშ, ზეიმია ბუნების:  
ისმის ფრინველთა მაყრული  
და მეც ბანს ვაძლევე მათ ლხენას  
აღტაცებ-აღფრთოვნებული.

დ. თურდოსპირელი.

## უკვდავება და სილამაზე.




არტობით მოწყენილი პატარა მწყემსი მალე გორაკზედ შემჯდარიყო და ჩამამავალ მზის სადიდებლად სალამურს ტკილად არაკრავებდა.

მუდამ, ჩვენ მოწყენილ მთაბარს საიდანმე უნებურად გამოძახილი სიმღერა და ნამეტანად სალამურის ხმა, ისე მწუხარებით ეფინება, რომ შორს, მის წიაღში გაფანტული მისი ხმა, როგორც კენესა მომაკვდავისა, სადღაც სივრცეში ნელ-ნელა დნება. უგდებ ყურს და გული ისე გიღონდება, თითქოს რალასაც გლოვობ, რალაც ძვირფასი დანაკარგით სული მწარედ გიშფოთდება და გიღელავს.

გსურს რომ იმ წამს შენც ხმებათ იქცე, ცრემლებად დადნე, რომ იმ მკენესარ არემარეს დილის ნამივით ზედ დაესხურო.

მწყემსი სალამურს ტკილად არაკრავებდა; შორს—მთებში ჰფანტავდა მომტირალე მის ხმებს, რომელთა წვერვალად განაც მზე თვის გაფანტულ მშვენიერ სხივებს, თითქოს იმ ხმაზედ თვისკენ იწვევდა და სიამით აწითლებული მთის იქით ნელა დნებოდა. მწვანე ფერდობზედ შეფენილი ცხვარი ძოვნას ეშურებოდა; მურას კი კლდის გვერდით მოღლილივით



მიწაზედ თავი მიედო და აკრემლებული თვალებით ცხვარს მშვიდათ ჩამოსცქეროდა...

შორს გამომკრთალმა სალამურის ხმამ, სოფლის ახლო ქალაში მჯდომ ნანას ყურსაც უცებ ჩასტირა და ისედაც მოწყენილ მის სახეს გამოუთქმელი სევდის ლანდი უმაღლ მოჰფინა.

დიდი ხანია შინ წამოსვლის დრო იყო, მაგრამ ნანა ადგილიდან ჯერ არ იძროდა; ვერ შორდებოდა იმ მშვიდ დამიწყნარებულ მიდამოს, სადაც ოდნავ ნიავის დაბერვაზე მხალოდ ფოთოლთა წყნარი ჩურჩული და საამური წყაროს ჩუბჩუბი ისმოდა; ვერა სცილდებოდა იმ ალაგას, სადაც თითქოს უნებურად შემოქრილი მწუხარებით სავსე სალამურის ხმა მის გულს და სულს ისე ღრმად სწვდებოდა, რომ იქ დაგუბებულ უჩუმარ კრემლებს გარედ იტანდა და შეღავათს მითი აძლევდა. იჯდა ჩუმად წყაროს გვერდით სახლიდან გამოპარული და სარკის მგზავს პაწა ტალღებს დიდხანს დასჩერებოდა. წყარო კი თრთოდა და თავის წიაღში აღბეჭდილ დასახიჩრებულ მის სახეს მით უფრო აუშნოვებდა.

— საზარელი ვარ და ამისათვის ყველას ისე ვეზიზღები. საზარელი ვარ, უფრო იმიტომ, რომ ჩემს გარშემო მშვენიებით ყველა აღვსილია.

წარმოსთქვა მან, თან გარშემო ლამაზ მიდამოს თვალი მოავლო და ისევ ჩუმად განაგრძო:

— ჩემისთანა საზიზღარი ძალიც კი არ მოიპოვება. ყველა ღირსია მზის მზერის და სიცოცხლით დატკობისა, რადგან ყველას თავისი სახე აქვს და შეკი... დამახინჯებული... გონჯი და უშნო...

აქ ისევ სალამურის ხმამ ფოთლები ეშხით შეათამაშა, წყაროს სინაზით მიუერთხმავა და უნებურად დადუმებულ არემარესთან სადღაც ტყის გულში წამს ისიც მიდნა.

— სად წავიდე, ვის მივეკედლო, როდესაც ჩემი თავი მევე თვითონ მეზიზღება, ჩემს გარშემო კი ყველა სიმშვენიით და სილამაზით იღიმება და ბედნიერობს... ღირსნი არიან სიცოცხლისა და სიტკობებისა, რადგან ყველა სილამაზით ძლი-



ერია და სათაყვანო. გამიგონია სათნოება და სიბრაღეობა და სიბრაღეობა რისთვის მინდა სათნოება, რაში მინდა თქვენი დამამცირებელი სიბრაღეობა, თუ კი ორივე დავრდომილთა და უძღურთა ხვედრი არი?!..

შებრაღეობა ზიზღისაა და არა წმინდა აღტაცება სილამზისა. მეც მეცოდებოდა იმ დღეს მგლისაჲან უწყალოდ და გლეჯილ-დაფლეთილი ძალი!

სიბრაღეობით ვერ უცქეროდი ალაჲ-ალაჲ ამოფლეთილ მის კანს და ხორცებს; ვიწოდდი მისი თვალების ცქერით, მაგრამ გახრწნილი ლეშის სუნი რომ ასდიოდა, იმ სიბრაღეობითან ერთად მეზიზღებოდა და ცხვირს ვარიდებდი ..

მეც როგორც ადამიანს, მაგრამ მაზინჯს და საზიზღარს ზოგი სიბრაღეობით მიცქერის, ზოგსაც უკვირს, ზოგი კიდევ გულ ახდილად ჩაიკინებს და შენ კი გული გიღვლოს მწუხარებით, სირცხვილის ცეცხლი მთელ ტანში გივლის, თან კიდევ თითქოს იღვევი, იწურები მეტი სიმწარით; გსურს რომ გაჰქრე, მთლად მოისპო წყევლა-კრულვით, მაგრამ... ოხ გამჩენო! სადაა შენი სიმართლე, სადა ხარ ტანჯულთ მფარველო!!....

ნანა იქვე წყაროს პიოდა, წითელას, ვით მშობელს, ხელი მოჰხვია, თავი მის ცივ კანს მიაყრდნო და ხმა მალა მდუღარება გადმოაფრქვია...

სალამურის ხმა კი მალა კლდიდან გარშემო იფანტებოდა და ყველა მისი ნახად გამოძახილი ნანას ქვითინთან სადღაც ჰქრებოდა. თავქვე დახრილი ფოთლები თითქოს ყურს უგდებდნენ მის გოდებას, ზოგჯერ კი სიოს შეხებით ნანასავით ისევე თრთოდნენ. მზე კი თანდათან გორას იქით, მშვენებით სავსე, თითქოს ღიმილით იპარებოდა და არე-მარე მთის ჩრდილოებით მოწყენილივით იფინებოდა.

\* \* \*

მისწყდა ყველგან ხმაურობა, არსად ბლავილი, არსად სადმე გამოძახილი აღარ ისმოდა; მხოლოდ სიო ისევ ჩურჩულვით ფოთოლთ იღუმლად აშრიალებდა და ქალის პირ: დ ქანდართა კენწეროს მწუხარესავით არხვეინებდა. შორს საიდან-

დაც დრო გამოშვებით. ქოტის კვილი წყვილად ბინდ-ბინდში გულ შემხარავად დანავარდობდა. თავ ჩაღუნული ნანა ამ დროს ჩქარი ნაბიჯით სოფლისაკენ მიეშურებოდა, მაგრამ გზა და გზა ისე იხედებოდა. თითქოს ვისიმე შეხვედრისა ეშინოდა. სოფლის განაპირას ბოგის კიდეც მოუახლოვდა, საიდანაც შარა გზა მოკლედ სოფელს უერდებოდა. მან იმ გზას გვერდი აუხვია, ვენახის თავში ვილასიც დანგრეულ საწნახლისაკენ გასწია, რომ იქიდან ვენახებზედ სახლში უმჩნევლად ჩამოსულიყო. მაგრამ საწნახელს რომ მიუახლოვდა უეცრად შესდგა, ერთხელ კედლე გაკვირვებით აქეთ იქით მიმოიხედა და იმის მეტი იქ რომ ვერაინ ვერ ნახა, უფრო დიდ ხანს გაშტერებით ერთ ალაგას მიაჩერდა: საწნახლის გვერდით, წამოწოლილ კუნძზედ, ვილაც მოხუცი ჩამომჯდარიყო, თავი გვერდზე დაეხარა და მწუხარებით აღქურვილი დედა მიწას დასჩერებოდა.

ვინ იცის ვინ იყო და საიდან იყო გადმოკარგული. ტანისამოსი დაფლეთილი ეცვა, ფეხშიშველს და უქუდოს წელზედ ქამრის მაგივრად თოკი ეკრა, მაგრამ ის მიინც გიყს არა ჰგავდა, რომელზედაც მთელი სოფელი ლაპარაკობდა. იცოდა ნანომ, რომ ვილაც მოხუცი მწუხარების გამო შესლილი სოფელ-სოფელ დაიარებოდა, მაგრამ არავის არ ეკარებოდა, ეკლესიაში დადიოდა და ყველგან, სადაც კი მთაზედ, ან სოფელ გარედ დანგრეულ საყდარს ნახავდა იქ, მარტო მყოფიდიდ ხნობით პირქვე ემხოზობდა და უცრემლოდ, დრო გამოშვებით მწარედ გმინავდა. მოხუცი არავის არ ეკარებოდა, მაგრამ თუ ვინმე ახლო მივიდოდა და ჩაელაპარაკებოდა. შეშინებული ბავშვივით ის უკან-უკან იწევდა და უსიტყვოდ, თვალებით რაღასაც ევედრებოდა.

ეხლაც სოფელ გარედ ის მოხუცი მარტოკა იჯდა და მიწის ფერ სახეზედ ისეთი უღრმესი მწუხარება ეხატებოდა, რომ განხორციელებულ ქანდაკებას მწუხარებისას ემგზავსებოდა. ვინ იცის რა გამოუთქმელი ბოროტება და ქირ ვარამი უღრმინდა მას გულს, მაგრამ მის გარშემო კი არავინ იყო იმ მწუხარების მჭკრეტელი, არავინ იყო მოხუცის თანამგრძობელი... მხოლოდ სიო გარს ნახად ევლებოდა, ყურში რა-




ლასაც ჩასჩურჩულებდა და ვით ჩვილი ყრმა ნაზი მის შუბლს და თმებს ისე ეხებოდა. მის დანახვად ნანა მთლად გაშრა, ცოტა ხანი გაქვავებულმა ისე უცქირა, შემდეგ ფეხაკრებით მიუახლოვდა, გაშალა ხელი და უხმოდ უსიტყოდ მწუხარე ვინმე გულს მიიხუტა. მოხუცმა მორთოლვარე ქალს ერთხელ ახედა, გულის სიღრმიდან რაღაც კვნესა აღმოხდა და სპეტაკ წვერზედ მდულარე ცრემლი უცებ პირველად გადმოსკდა. ტიროდა ნანაც, მაგრამ უხმოდ და ამოუკვნესრად. დაკავებული ცრემლები თრთოლისაგან მოხუცის თავს და შუბლს დილის ნამივით ასხურებდა და ზეციდან მოვლინებულ იმ თანაგრძნობით მის დატანჯულ სულს მითი უღებდა. მთვარე კი ამ დროს იმ ქანდაკების მგზავს სურათს მიბნედილ შუქით ზედ დასცქეროდა და მოლხენილი მათ ძლიერებით ვერცხლის ფერსხივით უხვად ამკობდა.

ლამაზი იყო, უკვდავებას ემგზავსებოდა ნანა თვის გრძნობით, ლამაზი იყო დაუდარელი და ამისათვის მის გარშემო ყველა იმ წამს დანატროდა და აღიდებდა:

— „მშვენიერია, უკვდავიაო—ჩურჩულებდნენ ფოთოლნი ხეზედ; ლამაზია, მზეს უდრისო—ვარსკვლავნი წყნარად ამბობდნენ;“ ..ღიდება შენდა ძლიერიაო“—, „გულ ამოსკვნილი ლოცვად მოსთქვამდა ბუღბუღი სადღაც“—, „ჩემზედ წმიდაა და სიღრმით კი ზღვაც კი ვერ დაედრებაო“—ჩუხჩუხებდა წყარო კლდის პირად და ყველა ამას ნეტარი ღამე გრძნობით უსმენდა და გამოუთქმელ დიად სიჩუმით მის ძლიერებას ემოწმებოდა.

ექვთი.



# დედა-მიწა და კუდიანი ვარკვლავი.

(ზღაპოული ამბავი)



დედა მიწა არ წყნარდებოდა და კუდიან ვარკვლავს გაღუშალათავის გულის ამბავი.

— რა გაეწყობა? მე კარგათ ვხედავ, რომ ვერასოდეს ვერ განვითავისუფლებ თავს. მათ გამოიკვლიეს ყოველი ჩემი კუთხე: ერთი პოლიუსიდან მეორემდის. არც ერთი წერტილი არ გამოეპარათ მათ აღუნიშნავათ ყოველ მხრით გამზომეს და ამწერეს!.. ბევრს უდგას მაგიდაზე ჩემი გამოხატულობა—ბურთი. ამ ბურთზედ ისინი სინჯავენ ყოველ კუთხეს. ტყობილობენ, როდის იქნება ქარიშხალი, ქექა-ქუხილი, მიწის ძვრა და სხვა მოვლენანი. კედლებზედ უკიდიათ ისეთი იარაღები, რომლის საშუალებით ყველაფერს წინდაწინ გებუ-

ლობენ. ახლა ხომ ხედავ, თუ რა უღონო ვარ მე ჩემ ხალხთან!

— „აბა მირჩიე რა გზას დავადგე? როგორ მოვიქცე?“

— „რა მოგახსენო, უთხრა კუდიანმა ვარკვლავმა,— რა გირჩიო არ ვიცი, მხოლოდ ამას კი გეტყვი, რომ მე მაგდენს ვერასოდეს ვერ მოვითმენდი, რასაც შენ ითმენ.“

ამაზე დედა-მიწამ ზიზლით გადიხარხარა და მიუგო:

— „ო! ო! ნამეტანს ბევრსაც ნუ ფიქრობ შენს თავზე: იცი რა გითხრა: აი სწორეთ ამ წამში, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, ხალხმა უკვე შეიტყო შენი არსებობა. გათვალისწინებენ ღურბინდით, ანგარიშობენ შენს სიშორეს, გარკმევენ“



სახელს, სწორენ შენზე წიგნებს. ამას ყველას ჰქვიათ შენი ჩაღიან. სულელებს კი ეშინიათ შენი, იმათ გონიათ, რომ შენი გაჩენა ქვეყნის დაქცევას მოასწავებსო.

— „ვინ არიან ეგ სულელები? ჰკითხა კუდიანმა ვარსკვლავმა. დედა-მიწამ მოიფხანა კისერი, შეანძრია თავისი ყინულის ქუდი, რის გამო ატლანტიის ოკეანე ყინულებით აივსო და დარცხვენით მიუგო: „ოხ! ნეტავი ეგ კითხვა არ მოგეცა ჩემთვის!“

— „ბოდიშს ვიხდი, მიუგო კუდიანმა ვარსკვლავმა, იქნება მე ჩემი კითხვით შევეხე შენ საიღუმლოს?“

— „არა, აქ საიღუმლო არაფერია, მაგრამ მე აქამდის არ ვიცი, რომელი მათგანია სულელი და რომელი ჰქვიათ. ის კი ვიცი მხოლოდ, რომ მათი რიცხვი ბევრია, ძრიელ ბევრია, გამოცნობა, თუ რომელია ნამდვილათ სულელი ძნელია, რადგან ყოველი თვითთული თავის თავს ჰქვიაანდა სთვლის და სხვებს კი სულელად.

— „ეტყობა ყველანი სულელები ყოფილან“, უთხრა კუდიანმა ვარსკვლავმა.

დედა-მიწამ ამგვარი შენიშენა შესახებ ადამიანისა თავის შეურაცყოფათ მიიღო, მან ახლა იგრძნო, თუ რა უადგილოთ გამართა გულახდილი საუბარი სრულებით უცნობ, ჰკუა-თხელ ვარსკვლავთან. დინჯათ და დამშვიდებით მიუგო კუდიან ვარსკვლავს: — „არა ჩემო ბატონო, კუდიანო ვარსკვლავო, ნუ იფიქრებ მაგას, ნუ იტყვი, არ ღირს მაგაზე ამოდენა ყბედობა. შენ ხომ ამ საგანზედ წარმოდგენაც არა გაქვს. მე საზოგადოთ მკვებარა არ ვახლავარ, მაგრამ მეგობრულად კი გირჩევ. მომაქციე მე განსაკუთრებული ყურადღება, რადგან ყველა ვარსკვლავებში გავირჩევი. აბა მიმოიხედე ირგვლივ, სადამდისაც გასწვდება შენი თვალთა ისარი, მთელ სამყაროს სივრცეში, განა თუ ნახავ ჩემ მსგავს ვისმე? აბა შეხედე ასპიროზს, რომელიც მშვენივრად ბრწყინავს, იქ მუშთარს, მარებს და სხვა ვარსკვლავებს, რომლებიც ჩემსაეით დარბიან მზის გარშემო შემდეგ კარგათ დამაკვირდი, გადმოხედე ჩემს უზარმაზარ უფსკრულ ზღვებს, ჩემს დაბურულ წიფლის და ბზის ტყეებს...



— „სიმართლე გითხრა, მე ვერაფერს მაგვარს ვერა ვხედავ, ჩემო კარგო. გააწყვეტინა სიტყვა კუდიანმა ვარსკვლავმა, — შეიძლება რასაც შენ ამბობ ყველაფერი სიმართლე იყვეს, მაგრამ მე მგონია, შენ სულ გახვეული ხარ რაღაც სქელ ბურუსში.

— „ჰა! მართლა, მე სულ დამავიწყდა შენთვის მეთქვა, რომ მე ჰაერში, ატმოსფეროში ვარ გახვეული. დარცხვენით მიუღო დედა-მიწამ.

— მიკვირს, რამდენი რამ გახვევია გარს... ეს ზურგიანო, ეს ადამიანიო, ეს კიდევ რაღაც ატმოსფეროა!.

— „კუდიანო ვარსკვლავო!“ დაუყვირა დედა-მიწამ, — მოისმინე კარგათ, მართალია მე სხვა ვარსკვლავებსავე ვტრიალებ, ირგვლივ მზეს უვლი, ვარ ერთი ჰატარა ვარსკვლავთაგანი, მაგრამ დარწმუნებული ვარ და შენც მინდა დავარწმუნო, რომ მე ვარ მთელი მსოფლიოს დედა-ბოძი.

— „ვხედავ, ვხედავ, რომ ტრაბახობას შენთვის გონება დაუკარგავს. შეჩერდი ერთ ადგილას ცოტა ხანს და მერე ისევ ანაგრძე შენი თავის ქება“. უთხრა კუდიანმა ვარსკვლავმა.

— „ვეჩერდე?! უთხრა წყენით დედა-მიწამ, აგრე რომ მოვიქცე, ხომ ჩემი აღსასრული დღეც დადგება, ხომ ყველაფერი იმაზე არის დამყარებული, რომ მე ნამდვილის სისწორით ვასრულებ ჩემს მოგზაურობას მზის ირგვლივ. მე სრულებითაც მკვებარა არ გახლავარ და ვარ ყველაზე შესანიშნავი ვარსკვლავი. თუნდაც სწორეთ ადამიანების წყალობითაც რომ იყოს, არც ერთი ვარსკვლავი არ შექედრება მე. რა ამბავია! შენ გარბიხარ ჩემგან.

— „ღიახ, სწორეთ!“


— „რისთვის?“ დარდიანათ ჰკითხა დედა-მიწამ, ნუ თუ არ შეგიძლია დარჩე აქ ერთი, ორი წელიწადი? მერე რა კარგათ ვსაუბრობთ! დამიჯერებ რომ გითხრა, არაფერს სიამოვნებას არა ვგრძნობ უხსოვარ საუკუნოდან ერთსა და იმავე გზაზე სიარულში? მერე სულ მუდამ ამ სულელ მთვარის საზოგადოებაში!

— „მთვარე ვილაა? ჰკითხა კუდიანმა ვარსკვლავმა.



— „ის დედა-ბერია, რომელსაც აი აქ ხედავს მენ-უთუ-  
ოთ შენიშნავდი, ის მუდამ ჩემ ირგვლივ სეირნობს და ცხელ-  
დავი ვარსკვლავია, ჩემი მოწყალებით ცხოვრობს. უმოწყალოთ  
დახეტილობდა სამყაროს სივრცეში და მე შემომეკედლა. უბე-  
დური არსებაა, სრულებით დაიწვა და სიბერით გონება დაჰ-  
კარგა. მისი ადგილი ახლა მათხოვრების თავშესაფარში უნდა  
იყოს, მაგრამ აქ შემოდებულისა, ყველას ჰყავს მთვარე. მუშ-  
თარს ხუთი მთვარე ჰყავს, მაგრამ მე ეს სულელურ ცრუმორ-  
წმუნეობათ მიმაჩნია.

— „მშვიდობით“, დაუყვირა კუდიანმა ვარსკვლავმა და  
გაეშურა თავის გზაზე. ბევრი ემუდარა დედა მიწა, რომ ცოტა  
ხანს მაინც შეჩერებულიყო, მაგრამ კუდიანმა ვარსკვლავმა  
უთხრა: „არ შემიძლია, მე ჩემი გზა მაქვს, უნდა გავეშურო,  
გარდა ამისა შენმა ტრაბახობამ გამიჭირა საქმე.



დურბინი

— როდის გამოჩნდები ხელ-ახლა?

— „სამასი წლის შემდეგ“. მიაძახა კუდიანმა ვარსკვლავმა, გაიქნია თავისი საპათ გაყოფილი კუდი და გაქანდა საშინელის სისწრაფით. ის თანდათან ჰატარავდებოდა, სანამ სრულებით არ გაქრა. „ყოჩაღ, ყოჩაღ! მიაძახა მთვარემ, რა სისწრაფით გარბის და რა მშვენიერი დიდი კუდი აქვს! ეტყობა, მისი ცხოვრება არაფრათ არ წააგავს სხვა საწყალ ვარსკვლავების ცხოვრებას.

— „რასაკვირველია! დაცინ-  
ვით მიუგო დედა-მიწამ. მისი  
ცხოვრება ისეთივე უსარგებ-  
ლოა, როგორც შენი, მთვარე! მთვარე სწორეთ ამ დროს  
სავსე იყო და დედა-მიწის დაცინვაზე მხოლოდ გაიცინა.

\* \*

გავიდა სამასი წელიწადი. \* დედა-მიწა მოუთმენლათ ელოდა კუდიან ვარსკვლავს და გულმოდგინეთ ითვლიდა თავის მოგზაურობას მზის ირგვლივ. დადგა მარტი. დედა-მიწა მოირთო-მოიკაზმა ათას-ფერ ყვავილებით. და აი მისი მოლოდინი გამართლდა. კუდიანი ვარსკვლავი დაპირებისამებრ გამოჩნდა, მიუახლოვდა დედა-მიწას. სწორეთ ამავე დროს, როგორც დედა-მიწა, ისე ხალხიც ელოდა მის გამოჩენას, ათვლიერებდენ კუდიან ვარსკვლავს. მათ უკვე გამოანგარიშებული ჰქონდათ მისი მოსვლის დრო. მეცნიერნი ღიდ სიხარულში იყვენ, ელოდენ, რომ ცაზე დაინახავდენ მშვენიერს და არა-ჩვეულებრივს და შესანიშნავს. უმეცრები კი შიშით ცახცახებდენ, ქვეშაგებში იმალებოდენ, ან თვრებოდენ, გარბოდენ ქუჩებში და რა სისულელეს არ ჩადიოდენ.

— კუდიანი ვარსკვლავი! დაიყვირა ერთმა მეცნიერმა, რომელიც იდგა მაღალ კოშკზე, საუკეთესო დურბინდი ეჭირა ხელში და დიდი ცოდნით იყო აღჭურვილი.

— „შეხედე, კუდიანი ვარსკვლავი!“ დაიყვირა მთვარემ.

— ვაშა, ვაშა! ახლა დაგვიდგება მხიარული დღეები!

— „დიახ, კუდიანი ვარსკვლავია!“ დიდის აღტაცებით დაიყვირა დედა მიწამ.

კუდიანი ვარსკვლავი მიუახლოვდა დედა-მიწას თავის დიდებულ ბრწყინვალე სამათ გაყოფილი გრძელი კუდით. დედა-მიწამ მისალმების ნიშნათ მოიხადა თავის ყინულის ქუდი. ამ დროს ყველა ზღვები აივსენ ყინულებით და ისე ძრიელ აცივდო მთელ დედა-მიწაზე, რომ უმეცრები დარწმუნდენ, ახლა კი ილუპება ქვეყანაო, დადგა მისი უკანასკნელი დღეებო. ნასწავლნიც კი დააფიქრა ამგვარმა მოვლენამ.

— „გამარჯობა, გამარჯობა, საყვარელო კუდიანო ვარსკვლავო!“ გასძახა დედა-მიწამ. — სალამი შენდა! ძრიელ მხიარული ვარ, რომ გხედავ აგრე მხიარულად და ჯანმრთელათ.

კუდიანმა ვარსკვლავმა ხმა არ გასცა.

დედა-მიწამ ხელ-ახლა გაიმეორა თავის მისალმება.

— „გამარჯობა!“ არც ახლა მიიღო პასუხი. — ნეტა რა



მოუვიდა ამ ვარსკვლავს! „გაკვირებით წამოიძახა დედა-მიწამ, „ნუ თუ ისე გაამაყდა, რომ აღარც კი კადრულობს ძველ ნაცნობს მიესალმოს?“

— უთუთო მან თქვენ ვერც კი შეგამჩნიათ, ისეთი პატარა, მცირე რომ ხართ! დაცინვით უთხრა მთვარემ.

— „შენ იქ ნუ ეჩრები, საცა შენი ადგილი არ არის, სჯობია გააჩერო ეგ ენა და არ დაივიწყო შენი მოვალეობა.“

გაბრაზებით დაუყვირა დედა-მიწამ. მერე ისევ გასძახა კუდიან ვარსკვლავს: „ჩემო საყვარელო ვარსკვლავო! კუდიანი ვარსკვლავი აჩქარებით განაგრძობდა თავის გზას, კრინტიც არ დასძრა.

დედა-მიწა ჰრჩელ დაღონდა. მას აშინებდა ის ფიქრი, ვაი თუ ვარსკვლავმა ისე გაურბინოს, რომ მასთან გამოსაუბრება ვერ მოასწროს. ის მზათ იყო ეტირნა. მართლაც სატირელიც იყო: სამასი წელიწადი მის მოლოდინში გაატარა, რომ მზიარული დღეები დადგება. ფიქრობდა: აი გაივლის დანიშნული დრო, კიდევ შევხვდები და გამოველაპარაკები ჭკვიან არსებასო. ახლა კი იმედი გაუცრუვდა; ვარსკვლავი მართალია გამოჩნდა, მაგრამ მისი მისალმებაც არ მიიღო.

— „გამარჯობა ვარსკვლავო! საბრალო ხმით დაუყვირა დედა-მიწამ, — „ნუ თუ, ისე გინდა გამიარო გვერდით, რომ არც კი გამოეხმაურო, შენს ძველს მეგობარს, დედა-მიწას? გაიხსენე კარგათ? ახლა შენ ამ სამასი წლის განმავლობაში რამოდენიმე მილიონი ვერსის მანძილი გქონდა გასავლელი, ჩემი სიტყვები ხომ გახსოვს? მართალი ვარ! შეგხვდა მაგ ხნის განმავლობაში ჩემისთანა შესინისნავი ვინმე თუ არა?“

— „რასაკვირელია არ დავივიწყებდი! მიუგო დაუღვევრათ კუდიანმა ვარსკვლავმა.

— „მაშ მიაბე ყველაფერი, ძრიელ მოხარული ვარ, რომ შენ არ დაგკარგვია მეტყველება. აბა ჩქარა მოჰყევი! სამყაროს სივრცეში სადმე შეგხვდა თუ არა ჩემებრ მშვენიერი ზღვები, უზომო, მშვენიერი წიფლის ტყეები და ახოვანი ბზის ქალები, რომლითაც უხვათ ვარ შემკული.

— „ხა! ხა! ხა! გაღიხარხარა კუდიანმა ვარსკვლავმა.

— „ხომ არ შევხვედრია სადმე ხალხი? ხელ-ახლა თხა დედა-მიწამ.

კუდიანი ვარსკვლავი სულ ხარხარებდა: ხა! ხა! ხა! სიცილისაგან ის თავით ბოლომდის სულ თრთოდა.

დედა-მიწამ ამ გვარი საქციელი შეურაცყოფათ მიიღო და ფიქრობდა, თუ როგორ გადაუხადოს სამაგიერო კუდიან ვარსკვლავს. ბოლოს შეეკითხა: „იქნებ სულელები შეგხვდენ შენ სადმე აა?“

— „ხა! ხა! ხა! ხარხარებდა ისე გულიანად კუდიანი ვარსკვლავი, რომ მას ერთი კუდი მოსწყდა.

დედა-მიწამ რომ დაინახა, ძალიან შეეშინდა. მეცნიერებიც, რომელნიც დურბინდებით უკვეროდენ კუდიან ვარსკვლავს, ძალიან საგონებელში ჩავარდენ.

კუდიანი ვარსკვლავი კი უფრო და უფრო ხარხარებდა, მას თავი ვერ შეეკავებინა სიცილისაგან. მეორე კუდიც მოსწყდა, შემდეგ შესამეც... და კუდიანი ვარსკვლავი სრულელებით გაიფანტა ერთ-იქით ნაპერწკლებათ და მით აავსო არე-მარე. ზოგი ნაპერწკლები დიდ ქვებათ ჩამოცვივდენ დედა-მიწაზე; ერთი კუდიანი დაეცა მეცნიერს თავში და ისიც და მისი დურბინდო სულ მტვრათ აქცია. ცოტა ხანს შემდეგ კუდიანი ვარსკვლავის კვალიც კი აღარსად სჩანდა.

— „მეტის-მეტე სიამაყით გასკდა!“ სთქვა დედა-მიწამ. — „სამწუთისა ის არის, რომ ისე გაჰქრა, რომ ვერ მოასწრო. ეამბნა მთვის მოგზაურობის ამბავი“.

— „დიახ, კარგი იქნებოდა, მაშინ თქვენ ბევრ ახალ ამბავს კი შეიძენდით მისგან, დაცინვით მიუგო მთვარემ.

ის სწორეთ ამ დროს სავსე იყო.

— დამეკარგე! დაუყვირა გაჯავრებით დედა-მიწამ—ნუ თუ ვერ შეიმოკლებ შენ ენას და შენს მოვალეობას ჩუმათ ვერ შეასრულებ?—გახსოვდეს კარგათ, ცამეტჯერ უნდა შემოიარო ჩემ ირგვლივ, ვიდრე მე ერთხელ შემოუვლი მზეს. მუდამ და მუდამ ასე უნდა მოვიქცეთ, თორემ ანგარიში აირევა.

(დასასრული)

ავლიტა ნაკაშიძე.

## შესანიშნავი ქვეყანა.

მოგზაურობა ჩრდილოეთ ამერიკაში.

(გაგრძელება \*)



როდესაც ქუჩის სისწვრივ, სასაფლაოს იქით, არის  
 უილ-სტრიტის ქუჩა. ამ ქუჩის ორივე მხრივ ამარ-  
 თულია შენობები, რომელშიაც მთელი კაცობრი-  
 ობის ლებ-მიცემობის ფასები ინიშნება და მთელი ამერიკის  
 შტატების მრეწველთა ბედ-იღბალი წყდება. ამ შენობებს სა-  
 ხელათ უძახიან ბირჯას.

უილ-სტრიტის ქუჩა ითვლება მრეწველთა ნამდვილ სა-  
 ტახტო ქალაქათ. აქ არი მოთავსებული შეერთებული შტატე-  
 ბის უმეტესი ნაწილი რკინის გზების მართველობისა. ეს უ-  
 ლი ხურდავდება. ყიდულობენ და ჰყიდიან ყოველგვარ უასი-  
 ან ქალაქებს და აქვე შეიძლება შეძენა სხვა და სხვა აზო-  
 გალოებების აქციებისა.

აქციის ფასი ერთბაშათ მატულობს და იკლებს აშკარა და  
 სხვა მიზეზების გამო. ზოგჯერ რამდენიმე საათის განმავლობა-  
 ში აქციების პატრონს შეუძლიან ერთბაშათ გამდიდრდეს კი-  
 დეც და დაიღუპოს კიდევ. ზოგჯერ მოხდება, რომ რომელი-  
 მე გემის ამხანაგობის აქციებს იყიდით. ამ ამხანაგობის საქმე  
 ძალიან კარგათ მიდის—აქცია ფასშია, სარგებელს დიდს იძლე-  
 ვა, უცბათ გაფუჭდა ამხანაგობის საქმე, აქცია აღარ იძლევა  
 კარგს სარგებელს, მაშინ აქციას ფასი ეკარგება. ამიტომაც  
 ზოგჯერ ორიოდ საათში ფასი ისე აიწევს და დაიწევს, რომ  
 აღამიანს ან გააკეთებს და ან დაღუბავს.

\*) იხილეთ „ჯეჯილის“ № 4.

ჩვენ შეგვიშვეს პირვის დარბაზის ხოლო ზემო აივანზე. იქიდან დავცქეროდით ბანკირების მოძრაობას და იმათ აურზაურს. ისინი ისე აღშფოთებულნი და აღელვებულნი ფაცაფტკით დარბოდენ, გვეგონებოდათ გიჟები არიანო. ის კი არა, იმათ ხელში ტრიალებდა მთელი ქვეყნის მუშათანაწარმოების უთვალავი ფული.

ამ ქუჩაზედვე არის მოთავსებული პურის ბირჟა, სადაც ჰყიდიან და ყიდულობენ პურს--ხორბალს. ნიუ-იორკი ითვლება მთელ დედა-მიწაზე ერთ უმთავრეს ადგილათ, სადაც პურის საუკეთესო სავაჭროა. აქ იყიდება: ხორბალი, ქერი, შვრია და სხვა მარცვლეულობა—კასრებით კი არა—ათი ათასი კოდობით. ხშირათ ერთ დღეში მილიონზე მეტი კოდი პური გადადის ერთი ხელიდან მეორეში.



ჰაერში რკინის გზა

ძლივს ვიბრუნებდით. დასასვენებლათ გვინდოდა წასვლა ქალაქის რკინის გზით ნიუ-ორკის სასტუმროში. მაგრამ ამ ქუჩაში ისეთი აუარებელი ხალხი ტრიალებს და ისეთი დიდი

იქიდან მერე ჩვენ შევედით ისეთ საწყობში, სადაც ბამბას ჰყიდიან და ყიდულობენ. ადამიანს თავბრუ დაესხმება, როცა თვალწინ წარმოუდგება ის დიდი ფული, რომელიც ტრიანებს შეერთებულ შტატების ხოლო ერთ ქალაქში.

ამოდენა ხმაურობისა და სივიწროვის გამო ჩვენ სულს

გზაა გასავლელი, რომ კაციც კი ვერ გაივლის და აბა როგორ დააწყობენ ამ სივიწროეში ლიანდაგს. ამიტომაც რკინისგზა ჰაერშია გაყვანილი. ლიანდაგი გაწყობილია სახლების მესამე სართულზე და ვაგონები ისეთივე სისწრაფით დადის, როგორც დედა-მიწაზე. მატარებელში ჩასაჯდომათ კაცი ქუჩიდან უნდა ავიდეს სადგურზე კიბით. აქვე იყიდება ორ შაურათ წასასვლელი ბილეთები და აქვე გასავალში არის საკუთარი ყუთი, რომელშიაც ჩაუშვებთ ნაყიდ ბილეთს. შევედით თუ არა ვაგონში, კონდუქტორმა კარები მიგვიჯახა და მატარებელი გაქანდა. ფანჯრიდან გავლის დროს ჩანს, ვინ რას აკეთებს თავ-თავიანთ სახლებში.

სასტუმრო, რომელშიაც ჩვენ ჩამოვხტით, შიგ შუა სავაქრო აღვიღას იმყოფება. ცოტა დავისვენეთ და გავწიეთ ისევ ბროდუეს ქუჩაში. ამ ქუჩის შესახვევებში დიდი მალაზიებია, სადაც გამოფენილია უძვირფასესი საქონელი, რომელზედაც კაცს თვალი რჩება.

რა გინდა სულა ლა გულო რომ აქ არ იყოს! თითქოს მთელი ქვეყნიერების საუკეთესო საქონელი აქ მოუტანიათო გასაყიდათ. აი ჩინეთიდან მოტანილი ღია ფერი ფარჩის ნაქსოვები. ეს ფარჩა საქსოვ დაზგებზე ყვითელ ჩინეთის ქალ-ვაყებისაგან არის მოქსოვილი და ათასი გავლილი გზებით მოტანილია ამერიკაში. ეს საუცხოვო ხავერდი და კრუჟოები გამოტანილია ევროპიდან. ის ბრილიანტები კი ნაპოვნია ამერიკის მიწის გულში შავ კანიანი და ტიტველა ზანგებისაგან. აქვე ჩაიბა საწყობებია, ეს ჩაი მოტანილია ან ჩრდილოეთ ინდოეთიდან, გიმალაის მთების ბუჩქებიდან და ან ჩინეთის და იაპონიის მოსავალია. აი, მეორე მალაზიაში კი ჰყიდიან ბრაზილიიდან გამოტანილ ყავას და კუნძულ კუბიდან მოტანილ შაქარს. აქვე საწყობია ყმაწვილების სათამაშოებისა. საფრანგეთიდან მოტანილია:—მორთული დედოფლები და გერმანიიდან—შესანიშნავი ხელოვნებით გაკეთებული მოძრავი სათამაშოები. აი კიდევ ხალიჩა მალაზიის ფანჯარაში გამოფენილი. შეხედეთ რა მშვენიერია! ის გაკეთებულია იმ ვეფხის ტყავისაგან, რომელიც ინდოსტანის გაუვალ ტყეში დახეტია-




ლობდა. ყველაფერი აქ მოტანილია ათასი სხვა და სხვა გზებით შორეულ ქვეყნებიდან.

ბრუნკონის ხიდი ისეთი შესანიშნავია, რომ თუმცა შორიდან გვენახა—მოვიდნომეთ მისი ახლო დათვალიერება. ამ ხიდს ვერს ნახევარი სიგრძე აქვს და უერთებს ნიუ-ორკის ერთ მხარეს კუნძულ მენხენტენთან. მთელ დედა-მიწაზე არ მოიპოვება ამისთანა დიდი და ყურადღების ღირსი ხიდი. ის ქვისა და ფოლადისა და ღირს რამდენიმე მილიონი. ამ ხიდის გეგმის შემდგენი ისე მოკვდა, რომ ვერც კი ნახა მუშაობის დაწყობა. მისი შეილი ისეთი თავდადებით აშენებდა, რომ ავით შეიქნა, მაგრამ საქმეს მაინც თავი არ დაანება. დაბინავდა შენობის მახლობლათ ერთ მალღობ ადგილზე და იქიდან ხელოსნებს დურბინდით უყურებდა და ხელმძღვანელობას უწევდა. მთელი ათი წელიწადი მოუწია ამის აშენებას. ნიუ-ორკში კიდევ ბევრი შესანიშნავი ადგილი ვნახეთ, რომლის ჩამოთვლა ძნელათ მიგვაჩნია.

მესამე დღეს რკენის გზით გავემგზავრეთ აგრეთ წოდებულ ახალ-ინგლისში.

(შემდეგი იქნება)





## გმირი ბავშვები.

### I



რეტანიაში, ზღვის ნაპირას, მიბმული იყო ნავი. ნავი სალამოს ნიავის გამო ირხეოდა. ხუთიოდე ბავშვი, ასე ათი-თერთმეტი წლისა, შიგ ჩასულიყვნენ სათამაშოთ. ამ თამაშობის დროს ამინდი გამოიკვალა. ზღვიდან ღაჭბერა მკაცრმა ქარმა, ტალღები სულ მაღლა-მაღლა აღიოდენ. ყმაწვილებმა, თამაშობაში გართულნი, ყურადღება არ მიაქციეს. ერთბაშათ ნავი მოსწყდა კიდევებს და გაჰქანდა. ნავი ტალღებმა კარგა შორს გაიტაცა. ნავს ნიჩბები არ ჰქონდა, იორემ ყმაწვილები მოიხმარდნ და კიდევებისკენ წამოიღებდნ ნავს.

ქარი გრიგალათ გადიქცა. ტალღები თანდათან აღშფოთდნ. ერთი ყმაწვილის მამა მოვიდა შვილის წასაყვანათ, მან არ იცოდა ცურვა და მწუხარებით ხელებს შლიდა და ყვიროდა.

ამ დროს გზათ მიდიოდა ოლივიე ლეკაზი, თუნუქის ქურქლის დუქნის შავირდი. მან შორიდანვე დაინახა, როგორ ათამაშებდა ტალღა ყმაწვილებით სავსე ნავს და მათ ყვირილზე გაეშურა.

— ნავი მომეციოთ, ნავი! ყვირის ოლივიე. მაგრამ რა ნავი, სად არი ნავი—დრო კი მიდის.

მაშინ ლეკაზი ჩავარდა ზღვაში და ტალღებთან ბრძოლის შემდეგ ის იყო მიუახლოვდა ნავს, მაგრამ ამ დროს ნავი გადაბრუნდა და ბავშვები ზღვაში ჩაცვივდნ. ლეკაზი დიდი გაქირებით მიცურდა ბავშვებთან, რომლებსაც ტალღები აფარ-



თხალებდა. სამი ბავში ჩაყარა ნავში—მეოთხე კი, პატრონი გულში ჩაიკრა და ასე გასწია ნაპირისაკენ — ერთი ხელით ნავს მიათრევდა—მეორეთი ბავში ეჭირა. მეხუთე ბავში კი ტალღებმა გაიტაცეს:

ამ დროს ნავი გადაბრუნდა და ემაწვილები ხელ ახლათ ჩაცვივდნენ წყალში. ლეკაზმა ახლაც ამოიყვანა ემაწვილები წყლიდან, ჩასვა ისევ ნავში და დიდი გაჭირებით მიათრევდა ნავს ნაპირისაკენ.

ტალღებს ხან ნაპირთან მოჰქონდათ ნავი და ხან ისევ უკან ისროდა. დაფეთებული ბავშვები ნავს ებლაუჭებოდნენ და მათი უშიშარი მფარველი უკანასკნელ ლონეს ხმარობდა ამ პატარების გადასარჩენათ. ზღვა უმოწყალოთ ატრიალებდა მათ და ქარი ნაპირიდან ქვიშას აყრიდა.

ბოლოს ერთმა საშველათ მოსულმა კაცმა ნავი დაიჭირა და ლეკაზიც და ნავიც დიდი ვაი-ვაგლახით ნაპირას მიათრია. სხვა ხალხიც მოეშველა და ნავი ამოათრიეს მიწაზე.

## II

ავთსადგურ მაროში დიდ ძალი გემები იდგა. ყველას აუარებელი საქმეები ჰქონდა და ემაწვილების ყურის საგდებლათ არავისა სცალოდა. ერთი რვა წლის ბავში ნავიდან სათამაშოთ გაკეთებულ გემებს წყალში უშვებდა. ძალიან გადმოეშვა ნავზე და უცბათ ზღვაში ჩავარდა. ამ დროს ის დაინახა ემაწვილმა გამენმა, რომელიც გემზე მსახურობდა, ის ხედავდა, რომ ეს ეს არის ბავში ერთ დიდ ნავს ქვეშ მოჰყვება და აღარა ეშველებარა. ემაწვილი ლონიერთაგანი არ იყო — მისი წამა ზღვაში დაიდრჩო, როცა კაცს სიკვდილიდან იხსნიდა. მისი უფროსი ძმა კი ჩამოვარდა ანძიდან და მოკვდა. გამენი თუმცა ხოლო 14 წლისა იყო მთელ ოჯახს ინახავდა, მაგრამ ახლა დრო არ იყო ამაზე ეფიქრნა, სწრაფათ ზღვაში ჩავარდა, რამდენჯერმე ამოიყურყუმალავა იმ ადგილას, სადაც ბავში გაქრა და ორიოდ წუთის შემდეგ ნაპირას მოადგა გადარჩენილ ბავშვით.



## III

ქართული  
ენის  
სახელწოდება

ქრთი მოსწავლე, სახელათ ჟიულ გრანდიუორი, ათი წლი-  
სა რომ იყო, ჩავარდა წყალში ამხანაგის გადასარჩენათ, რომე-  
ლიც იხრჩვებოდა მდინარე ბრენონში.

როდესაც ჟიული მიუახლოვდა ამხანაგს, რომელიც ის ის  
იყო იხრჩვებოდა—ამხანაგმა ისე მაგრათ ჩასჭიდა ხელი ჟი-  
ულს, რომ კინაღამ თან წყალში ჩაითრია ჟიულმა გონება  
არ დაჰკარგა, არ დაიფანტა. მან დიდი ვაი-ვაგლახით გაინთა-  
ვისუფლა ცალი ხელი და გაცურდა ნაპირისაკენ. ერთი ხე-  
ლით წყალს აპობდა და მეორეთი ამხანაგს მოათრევდა. მა-  
გრამ დიდ ხანს ვერა გზით ვერ მიუახლოვდა ნაპირს, ჯადგან  
ციცაბი კლდეები წინ ამართული იყო. ისე რომ რამდენიმე  
საქენი მოუნდათ გავლა. ბოლოს ჟიული მიუახლოვდა ისეთ  
ადგილს, სადაც შეიძლო ფეხის მოკიდება. მან ამხანაგი ამო-  
ათრია ნაპირზე და უვნოთ, სრულებით კარგა მყოფი მიიყვა-  
ნა სოფელში.



## ჯეჯილის № 4.

**გამოცანები:** თოვლი, ყველი.

**ამოცანა:** 1) მონადირემ თავის გადასარჩენათ წინდა და-  
არღვია და იმისი ბაწარი ძირს ჩაუშვა თოკის მისაბმელათ.

2) მზარეულმა იყიდა: ერთი ქათამი, 39 ვარიკა და 60  
კვერცხი.

3) პირველ მონადირეს ჰყავდა 5 კურდღელი, მეორეს  
კი 3.

ძველ ღმერთებს დაივიწყებდა ერთბაშათ. მართლაც, <sup>ქართული</sup> <sup>ისტორიის</sup> <sup>მეცნიერების</sup> <sup>სახელი</sup> <sup>აქვე</sup> <sup>აღიწერეს</sup> <sup>ქვემოთ</sup> <sup>სადაც</sup> <sup>და</sup> <sup>აღვანიის</sup> <sup>სახლვარზე</sup> ქართველებს ამის შემდეგაც ღიღინანს ჰქონდათ კიდევ ტაძარი მთვარის სახელობაზე, სადაც ხანდახან კაცის მსხვერპლიც კი იწირებოდა. თვარის თაყვანის ცემა ქართველთა შორის მათი ისტორიის შემორჩენილი პერიოდშიაც არ მოსპობილა, რაზედაც თავის ალაგას გვექნება საუბარი.

ასეთი იყო ქართველების კულტურული მდგომარეობა მე-6—4 საუკუნეში ქარ. წინ.

**კითხვაში გასაგებობადად.** ასწერეთ ქართველი ტომების მოძრაობა კავკასიიდან ამიერ კავკასიისაკენ. რა და რა სახელებით არიან ცნობილი თავის ახალ სამშობლოში კოლხები და ძველი ტაბალები? რას ნიშნავს „მცხეთი“? სადამდი აღწევდა მისი საზღვრები პირველ ხანათ? რომელი ადგილები დაიჭირეს ქართველმა, კახებმა და ალბანებმა? — ჩამოთვალეთ ქართველი ტომების სახელები მე-6—4 საუკუნეში.

ვის დაემორჩილენ ქართველები მე-6—4 საუკუნეში? რა ხარკს იხდიდნენ იგინი სპარსეთის სასარგებლოდ? როგორი იყო მათი შინაური გამგეობა?

რა ხელობას მისდევდნენ იმ დროს ქართველები? რა შეითვისეს ქართველებმა სპარსელებისაგან? როდის შემოუღიათ ქართული ანბანი? როგორი იყო ქართველების მაშინდელი სარწმუნოება? —

# კველი ისტორია.

## I

პერიოდის განსაზღვრა, ქართველ ცნობთა ბინადრობა და მე-  
ზობლები ამ პერიოდში.

1. **პერიოდის განსაზღვრა.** „ძველს ისტორიას“ საქართველოს ისტორიის მეორე პერიოდს ვეძახით. ეს ხანა იწყება მცხეთაში სამეფო ცენტრის დაარსებით, 330 წლის მახლობლათ ქრ. წინ, და თავდება რომაელთა მფლობელობის დამყარებით იმავე მხარეში მე-3 საუკუნის დამლევს ქრ. შემდეგ, რასაც მალე თან მოჰყვა ქრისტიანობის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში. ამგვარათ საქართველოს „ძველი ისტორია“ შეიცავს ექვს საუკუნეზე ცოტა მეტს. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი წინაპრების მიწა-წყალს უმთავრესათ მტკვრისა, ქოროხისა, რიონისა და ენგურის აუზები შეადგენდა. როგორც ვიცით, ქართველები დღესაც ამავე მიწა-წყალზე ცხოვრობენ. მაშასადამე 2200 წელზე მეტი გასულა, რაც ქართველები თავის ახლანდელ სამშობლოში საბოლოოვით დამკვიდრებულან და თავისი ისტორიული ბედი ამ ქვეყანასთან მკიდროთ შეუკავშირებიათ. ამიტომ, სანამ წინამდებარე პერიოდის შესწავლას შევუდგებოდეთ, საჭიროა მოკლეთ მაშინდელი საქართველოს გეოგრაფიული სურათი გავითვალისწინოთ.

2. **ზღვები, მთები და მდინარეები.** ძველ საქართველოს სამი ძლიერი დარაჯი ჰყავდა: აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, დასავლეთით—შავი ზღვა და ჩრდილოეთით—კავკასიონის ქედი. ეს სამი ბუნებრივი დარაჯი იფარავდა დიდი ხანს საქართველოს ამ სამი კუთხით ძლიერი მტრების შემოსევისაგან. ამ მხრით ყველაზე მეტი ღვაწლი ჩვენი წინაპრების წინაშე კავკასიონის ქედს მიუძღვის: მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იგი იკავდა ქართველებს ჩრდილოეთის ველურ ხალხთაგან. საზოგადოათ მთებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

ჩვენს ერის ცხოვრებაში. დავასახელოთ უმთავრესნი მათგანნი: კავკასიონის უმთავრესი ქედიდან გამოდის და პარალელურათ სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართება შემდეგი ოთხი მთა: **ბზიბისა, კოდორისა, სვანეთისა და ლეჩხუმისა**. შემდეგ იმავე უმთავრესი ქედიდან იწყება **სურამის მთა**, რომელიც სამხრეთისკენ მიემართება. ამ მთიდან დასავლეთისკენ, თითქმის ლეჩხუმის მთის პარალელურათ, გასდევს **რაჭის მთა**. სურამის მთას აქვს გაგრძელება სამხრეთისაკენ სხვა და სხვა სახელებით: **ახალციხის მთა, არსიანის მთა, მესხეთის მთა** და **პარხალის მთა**. ეს ოთხი მთა სურამის მთასთან ერთათ მთელს საქართველოს ორ უმთავრეს ნაწილად ჰყოფენ: აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოდ. დასავლეთის საქართველოში მდებარეობს კიდევ: **ჯურია-აჭარის მთა**, რომელიც ახალციხის მთის ტოტს წარმოადგენს, და **ჭანეთის მთები** შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირად.

აღმოსავლეთის საქართველოში შემდეგი მთებია შესანიშნავი: **ციხვას მთა**, რომელიც კავკასიონის ქედიდან გამოდის და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიემართება; **თრიალეთისა** და **ჯავახეთის** მთები და, დასასრულ ის მალლობები, რომელნიც მესხეთ-არსიანის მთების შესართავიდან იწყებიან და მიხვეულ-მოხვეული ხაზით **გოგჩის ტბისკენ** მიემართებიან; ამ მთებს ჩვენ ვუწოდებთ **მტკვრისა და არაქსის წყალთ-გამყოფ მალლობებს**.

ამ მთებში სათავეს იღებს მრავალი მდინარე, რომელნიც უხვათ რწყავენ ჩვენს სამშობლოს. აი ზოგიერთი მათგანი: **ბზიბი, კოდორი, ენგურა** (სვანეთის მთებიდან), რიონი თავისი შენაკადებით: **ცხენის-წყალით** და **ყვირილა-ძირულით**; ამ ორ უკანასკნელ შენაკადს (ყვირილა-ძირულას) დარიონის გაგრძელებას შავ ზღვამდე ბერძნები და რომაელები **ფაზისს** ეძახოდნენ. აქ ჩამოთვლილი მდინარეები ყველა შავ ზღვაში ჩადის. ამავე ზღვაში ჩადის მდ. **ჭოროხი**, თავისი შენაკადით **ისპირით**. უუდიდესი მდინარე საქართველოში **მტკვარია**, რომელიც არსიან-მესხეთის მთებში იწყება, ჯერ ჩრდილოეთისკენ მოემართება, შემდეგ (ბორჯომის ხეობაში) აღმოსავლეთ-



თისკენ მოჰხრის, გზაში იერთებს მარცხნით არაგვის დალიან ალაზანს, მარჯვნიო — ხრამ-ღებედას, აქსტაფას, ბოლოს არაქსს (არეზი) და ჩადის კასპის ზღვაში. მტკვარს უცხოეთის მწერლობები „კიროსს“ ეძახოდენ, არაგვს — „არაგოსს“, ხოლო ალაზანს — „ალაზონი“-ს.

ამ მდინარეთაგან ყველაზე მეტი მნიშვნელობა მტკვარსა და რიონსა ჰქონდა, რადგან ამ მდინარეებით სწარმოებდა მიმოსვლა შავსა და კასპის ზღვებს შუა, ხოლო შემდეგ ევროპასა და ინდოეთს შუა, რაზედაც თავის ადგილას გვექნება საუბარი.

3. **ჰავა და ბუნების სიმდიდრე.** საქართველოს ჰავა სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა გვარია. ეს დამოკიდებულია მთების მიმართულებაზე, ქარებზე, ზღვის სიშორე-სიახლოვეზე და ამა თუ იმ ადგილის სიმაღლეზე ზღვის ზედაპირიდან. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, კავკასიონის ქედი ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთის კედელს წარმოადგენს: იგი იფარავდა და იფარავს საქართველოს არა მარტო მტრებისგან, არამედ ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგანაც. ამიტომ აქ ჩრდილო ქვეყნების ყინვა-სიცივე არ იცის. მაგრამ ჰავა აქ ერთგვარი მაინც არ არის. ამ მხრით აღმოსავლეთის საქართველო დიდათ განსხვავდება დასავლეთის საქართველოსაგან. როგორც ვიცით, ამ ორ მხარეს ერთმანეთისაგან სურამისა და ახალციხის მთები გაჰყოფს. დასავლეთის საქართველო ზედ აკრავს შავ ზღვას, რომელიც მას უზვათ უგზავნის წვიმას, ხოლო ზაფხულ გრილსა და ზამთრობით შედარებით თბილ ქარს. ეს ქარი და წვიმა იშვიათათ თუ გადმოსცილდება სურამის მთას. სამაგიეროთ, აღმოსავლეთის საქართველო ერთგვარათ დაშორებულია, როგორც შავს, ისე კასპის ზღვას. ამიტომ ზაფხული აქ ცხელი იცის, ზამთარი კი ცივი. აქაური ქარებიც მშრალია და ქირნახულის მახარალებელი. წვიმა იშვიათათ მოდის, რისგამოც მცხოვრებლებს მიწის შემუშავების დროს სარწყავი არხების გაყვანა სჭირდებათ. მხოლოდ ალაზნის გაღმა-მხარი ირწყვის უზვათ წვიმით, რომელიც კასპის ზღვიდან მოაქვს აღმოსავლეთის ქარს. საქართველოს ეს ნაწილი (ალაზნიდან

კასპის ზღვამდე) ძველათაც განთქმული იყო მდინარეების სი-  
 უხვით და ბუნების სიმდიდრით. საზოგადოთ საქართველო მდი-  
 დარი ქვეყანაა ბუნებით და, როგორც უცხოელები მოწმო-  
 ბენ, ძველათ კიდევ უფრო მდიდარი ყოფილა. მისი მთები  
 ხელუხლებელი ტყეებით იყო დაფარული, ვაკე-გორები და და-  
 ბლობები თვალგადუწყდენელ საძოვარ იალალებს წარმოად-  
 გენდა. ზოგიერთი მთები რკინისა და ოქრო-ვერცხლის მად-  
 ნებითაც იყო განთქმული (განსაკუთრებით, ქოროხის და რი-  
 ონის აუზები).

ასეთი იყო ის ქვეყანა, სადაც ქართველები ამ 2200  
 წლის წინათ საბოლოოთ დაემკვიდრენ.

4. საქართველოს ნაწილები და მცხოვრებლები. მთელს  
 ამ ქვეყანას უცხოელი მწიგნობრები სამს უმთავრეს ნაწილად  
 ჰყოფდნენ: **კოლხიდად**, **იბერიად** და **ალბანიად**. — კოლხიდის  
 საზღვრები იყო: დასავლეთით შავი ზღვა ბზიბის წყლიდან  
 ქალაქ ტრაპიზონამდე; ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი სურა-  
 მის მთამდე; აღმოსავლეთით — სურამის მთა და მისი გაგრძე-  
 ლება: ახალციხისა და არსიანის მთები; ხოლო სამხრეთით მე-  
 სხეთისა და პარხალის მთები. — იბერიის საზღვრებს შეადგენდა:  
 დასავლეთით სურამისა, ახალციხისა და არსიანის მთები; ჩრდი-  
 ლოეთით კავკასიონის ქედი ალაზნის უკანასკნელი შენაკადის  
 სათავემდე; ხოლო დანარჩენის მხრით: ჯერ მტკვარ-არაქსის  
 წყალთ-გამყოფი მალლობები, შემდეგ მდ. აქსტაფა, მერე  
 მტკვრის შუა-წელი ალაზნამდე და ბოლოს ალაზანი თავისი  
 უკანასკნელი შენაკადით კავკასიონის ქედიდან. — ალბანიას სა-  
 ზღვრავდი: დასავლეთით ალაზანი თავისი შენაკადებით, ჩრდი-  
 ლოეთით კავკასიონის ქედი, სამხრეთით მდ. მტკვარი და აღ-  
 მოსავლეთით კასპის ზღვა.

კოლხიდაში ცხოვრობდნენ უმთავრესათ ურუძველესი დროის  
 ტუბალ-კაინის (=ტბალის) ჩამომავალი ქართველი ტომები:  
**ტიბერნი**, **ჰიბერნი**, **ჭანნი** (=კაინ), **მეგრულნი**, **გურულნი**  
 და **იმერნი**, რომელთ შორის შერეულნი იყვნენ (ახალშენე-  
 ბად სხვა და სხვა ადგილას): **კოლხნი**, **ტაოხნი**, **მესხების ერ-**  
**თი ნაწილი**, **სვანნი** და **აფხაზნი**. ამ ქვეყნის უმთავრესი ენა



საქართველოს ისტორიის მეორე პერიოდში, როგორც უნდა ყოფილიყო ქან-მეგრული, რომელსაც იმ დროს ლაპარაკობდნენ როგორც ქანნი და მეგრელნი, ისე ჰიბერნი და გურულ-იმერნი\*). ამ ქვეყნისათვის ბერძნებს კოლხიდა და ურქმევით აღბათ იმიტომ, რომ ყველაზე უწინ აქ მცხოვრებთაგან კოლხებს გაცნობიან, რომელთა ერთი ახალშენი, ბერძნებისავე მოწმობით, ქ. ტრაპიზონის მახლობლათაც ცხოვრობდა (ტრაპიზონი კი ბერძნების ქალაქი იყო). ამგვარათ, ერთის, შედარებით მცირე ტომის სახელი უცხოელებს მთელს დასავლეთის საქართველოზე გადმოუტანიათ.

კიდევ უფრო უცნაურათ მოქცეულან იგივე ბერძნები აღმოსავლეთის საქართველოს შესახებ, რომლის ერთი ნაწილისათვის მათ დაურქმევიათ „იბერია“, ე. ი. იმ ტომის სახელი (ჰიბერი), რომელიც ცხოვრობდა კოლხიდისა და „იბერიის“ საზღვარზე (ქოროხის აუზში) და არა იგივე „იბერიაში“. ამ ქვეყნის ნამდვილი მცხოვრებნი კი იყვნენ: მესხებსაც მეორე ნაწილი, ქართლიელნი და კახნი. მაშასადამე, სისწორით რომ ვთქვათ, ამ ქვეყანას „ივერიას“ ვერც კი დაევძახებთ, მაგრამ რადგან უცხოელ ისტორიკოსთა შორის ასეთი სახელია მიღებული, ამიტომ პირობითად ჩვენც ამავე სახელს ვიხმართ, მხოლოდ საჭირო კია გვახსოვდეს, რომ იმ დროს „იბერია“ აღნიშნავდა დღევანდელს ქართლსა და კახეთს მესხეთითურთ და არა იბერთა (ქან-მეგრელ-გურულ-იმერთა) ქვეყანას, რომელსაც მაშინ „კოლხიდას“ ეძახოდნენ. „იბერიის“ მცხოვრებთა ენა იყო საკუთრივ „ქართული“ (ქართლ-კახურ-მესხური), რომელიც შემდეგს პერიოდში ყველა ქართველ ტომთა ეროვნულ ენად გადაიქცა.

\*) საჭიროა ახლაც შევნიშნათ, რომ ქოროხის ბასეანში მცხოვრებმა ქართველმა ტომებმა და გურულ-იმერლებმა მხოლოდ შემდეგში (მესამე პერიოდში) შეიძვისეს „ქართული“ ენა, როცა მათ მრავლათ შეეზრიენ აღმოსავლეთის ქართველები. წინათ კი ამ ქვეყნის დედაენა მეგრული ყოფილა, რასაც სხვათაშორის მოწმობს აქა-იქ გაფანტული გეოგრაფიული სახელები (დვაბზუ, ოზურგეთი, ოფიშკვეთი, ოკრიშა და სხვ.)

აღბანია მცხოვრებლებით მეტათ აკრელებულ წარმოადგენდა. ბერძნის მწერალთა მოწმობით აქ 26, სხვა და სხვა კილოზე მოლაპარაკე ტომი ცხოვრობდა. უეჭველია მათ შორის არა ქართველებიც ერეოდნენ, მაგრამ ზოგიერთი გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ 26 ტომში ფრიად საპატიო ნაწილი ქართულის ჩამომავლობისა უნდა ყოფილიყო. შემდეგში აღბანიის ქართველობამ უცხო ტომელებს დაუთმო თანდათან ადგილი, მათში გაერია და გადაშენდა, ან სრულიად დასტოვა აღბანია და „იბერიაში“ გადმოსახლდა.

5. **მეზობელი ქვეყნები და სახელმწიფოები.** როგორც წინათ შევნიშნეთ, საქართველოს ძველი ისტორია იწყება 330 წლის მახლობლათ ქრ. წინ და თავდება 300 წლის მახლობლათ ქრ. შემდეგ. ეს პერიოდი ფრიად შესანიშნავი ხანა წინა-აზიის ცხოვრებაში. 330 წლამდე აქ ბატონობა სპარსეთის სამეფოს ეკუთვნოდა. მაგრამ 330 წელს იგი დაამხო ალექსანდრე მაკედონელმა, რომლის გარდაცვალების შემდეგ († 324 წ.), მისი მონარქიის ნანგრევებზე წინა-აზიაში აიპართა (312—306) ახალი სახელმწიფო სელევკიდებსა, რომლის უმთავრესი ცენტრი სირიაში იქნა გადატანილი, ქ. ანტიოქიაში. ამიტომ ამ სახელმწიფოს კიდევ სირიისა ანუ ასურასტანის სამეფოსაც ეძახიან. 250 წელს ამ სამეფოს მოსწყდა კასპის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე პართია, რომელიც ცალკე სამეფოდ გამოცხადდა; შემდეგ ეს სამეფო თანდათან გაიზარდა და თავისი დასავლეთის საზღვრები შუამდინარემდე მოიტანა (150 წლის მახლობლათ). ცოტა უფრო ადრე სელევკიდების სამეფოს ჩამოშორდა სომხეთი, რომელიც დამოუკიდებელ სამეფოდ იქნა გამოცხადებული (189 წელს ქრ. წინ).—120 წლიდან ქრ. წინ მცირე აზიაში იწყო გაძლიერება პონტის სამეფომ (შავი ზღვის პირად) მიტრიდატ VI-ის ხელმძღვანელობით. მაგრამ პონტის ძლიერებას 64 წელს ქრ. წინ ბოლო მოუღო რომის რესპუბლიკამ, რომელიც 30 წელს ქრ. წინ ვრცელ იმპერიად გადაიქცა და თავისი გაელენა თანდათან თითქმის ტიგრამდე და კასპის ზღვამდე მოიტანა. ამას შემდეგ მთელი ამიერ-კავკასია ორი ძლიერი მეტო-



ქის სადავო საგნად გადაიქცა: რომის იმპერიისა და სპარსეთისა, ანუ სპარსეთისა, სადაც 226 წელს ქრ. შემდეგ პართეთა დინასტიამ ადგილი დაუთმო ახალს სასანიანთა დინასტიას.

ამგვარათ: ალექსანდრე მაკედონელისა და სელევკიდების სამეფოები, შემდეგ პართია, სომხეთი და პონტის სამეფო, ბოლოს რომის იმპერია და სპარსეთის სახელმწიფო, — აი საქართველოს მეზობელი ქვეყნები და სამეფოები, მისი ისტორიის მეორე პერიოდში, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთ-დასავლეთით.

ამათ გარდა საქართველოს ჩრდილოეთითაც ჰყავდა საქმათ ძლიერი, თუმცა ნახევრათ ველური, მეზობლები: **სკვითები** და **სარმატები**, რომელნიც კავკასიონის ქედს გადაღმა ცხოვრობდნ და ზოგჯერ ქართველებს გარეშე მტრებთან ბრძოლაში მეზობლურათ ეხმარებოდნ, თუმცა არა-იშვიათათ ქართველების მტრის ლაშქარშიაც იღებდნ ხოლმე ქირით მონაწილეობას.


**კითხვები განამოკმბლად.** უჩვენეთ საქართველოს „ძველი ისტორიის“ დასაწყისი და დასასრული: როდის და რა ფაქტით იწყება იგი და როდის და რა ფაქტით თავდება?

ჩამოთვალეთ (უსათუოდ ქარტაზე) საქართველოს ზღვები, მთები და მდინარეები.

ასწერეთ საქართველოს ჰავის სხვა და სხვაობა და ბუნების სიმდიდრე.

უჩვენეთ (ქარტაზე) საქართველოს ნაწილები უცხოეთის მწერალთა მოწმობის თანახმად: კოლხიდა, „იბერია“ და ალბანია. აღნიშნეთ მათი საზღვრები და მცხოვრებლები. რომელი ენა უფრო იყო გავრცელებული კოლხიდაში და რომელი — „იბერიაში?“ რამდენ ენაზე ლაპარაკობდნ ალბანელები?

ჩამოთვალეთ (ქრონოლოგიურათ) საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები ამ პერიოდში.



# ჯეჯილი

ქართული  
პატარებისათვის

საქმეაწვილო ნახატებაანი ჟურნალი.

## მცლა პირველი

## წელიწადი.

შიილება ხელის მოწერა 1910 წლ.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ეღირება 4 მ. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5. ნახევარი წლით 3 მ.

ცალკე ნომერი 10 კ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ: **მუთაისში წიგნის მაღაზიას „იმერეთ“ს** და ბათუმში მ. **კალანდაძეს.**

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანაშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1910 годъ на газету

# „ЗАКАВКАЗЬЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города:
за годъ . . . . . 6 р. — к.	за годъ . . . . . 8 р. — к.
за полгода . . . . . 3 р. 50 к.	за полгода . . . . . 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльныя №—5 коп. Заграницу вдвое. За перемѣну адреса городского на иногородній—1 р., съ иногородняго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова, общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера. Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. 1. Амираджиби.



# სახალხო გაზეთი

კავკასიური  
კომუნისტური

1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც მდგომარე  
წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება  
შინაარსით.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელს გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანთ: წლით როგორც ქალაქში ისე  
ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან.  
10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შუური. დამატებიანი ნომერი (კვი-  
რისა) 7 კაპეიკი

ხელის-მოწერა ვერ-ვერობით შიდალეს მხოლოდ ტფილისში:

„სახალხო გაზეთი“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის სა-  
ზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან—სასხლის ქუჩა, თავად-  
ახნ. ჭარვასლა; ნაძალადეგში მეპურე მელიტონ დოლობერიძესთან—მა-  
გისტრალნი ქუჩზე, გრიბოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ  
სიხელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოვარნი ცეხი.

### ხელის მოწერათა საშუალებოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ  
ვინცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამ-  
ტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდეს-  
საც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 სა-  
თამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакция „Сахалхо газети“ Семену  
Пашалишвили